

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ცრუილებით და ჭორებით ხალხის გაცდენა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

პარასკევი, 13 სექტემბერი. 2019 წ. №181 (8847) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი


## ნინო ბურჯანაძე: საინტერესოა, რას უპასუხებენ აპატურაის ჩვენი უვიცი პოლიტიკოსები



**„ახლა რას აპირებთ, აპატურაისაც ბურჯანაძის მაგავსად რუსეთის ინტერესების გამტარებელს უძახებთ თუ აღირებთ, რომ ქართველი ერის გარკვეული ნაწილი უცოდინარ, არაკომპეტენტურ და დროს უიმედოდ ჩამორჩენილ პოლიტიკოსებს არის აყოლილი?“,** — ასე ეხმაურება „ერთიანი საქართველო — დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერი ნინო ბურჯანაძე ნატოს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენლის ჯეიმს აპატურაის განცხადებას. ბურჯანაძის კომენტარს მისი პარტია ავრცელებს.

ჯეიმს აპატურაი განცხადებაში აღნიშნავს, რომ ორ რეგიონზე მეხუთე მუხლის გავრცელების გარეშე ნატოში გაწევრიანების იდეა დროული არ არის.

**„ყველა უბედურების სათავე უვიცობა და უთავმოყვარეობაა. საინტერსოა, რას უპასუხებენ დღეს ჯეიმს აპატურაის ამ განცხადებაზე უვიცი და უტიფარი პოლიტიკოსები. გუშინ საქართველოში ლუსტრაცია მოხდა: ნათლად გამოიკვეთა, ვისთვისაა საქართველო და ეროვნული ინტერესები მთავარი, და ვისთვის ნატოში ინტეგრაციაზე დემაგოგიით როგორმე პოლიტიკაში დარჩენა! ნათლად გამოჩნდა, ვისთვისაა უმთავრესი ამოცანა ხელისუფლებაში მოსვლა, თუნდაც აფხაზეთის და სამაჩაბლოს სამუდამოდ დაკარგვის ფასადაც კი.**

**სწორედ, ამ უტიფარი პოლიტიკოსების დამსახურებაა, რომ ცხინვალში და სოხუმში დღეს რუსეთის ჯარი დგას! სამწუხაროა, რომ ჩვენი საზოგადოება ასეთ ვაიპატრიოტიზმს ამოფარებულ უვიცებს ხმის ამოღების უფლებას აძლევს.**

**თქვენ ბატონებო, სწორედ თქვენ მიაყენეთ უდიდესი ზიანი ჩვენს ქვეყანას! სწორედ თქვენ დაანახეთ მსოფლიოს, აფხაზებსა და ოსებს, რომ მზად ხართ ნატოს სანაცვლოდ საკუთარ მიწაზე — აფხაზეთზე და სამაჩაბლოზე თქვათ უარი! გარწმუნებთ, თქვენნაირ პოლიტიკოსებს და ექსპერტებს ბრიუსელშიც კი სერიოზულად არავინ აღიქვამს და ამას თავადაც ხედავთ. სწორედ ამიტომ გადახვედით ყველანაირ ზღვარს. აი, რა არის ნებსით თუ უნებლიეთ ქვეყნის მტრობა! თქვენ ხართ არშემდგარი პოლიტიკოსები, რომლებიც ქართველ ერს დაკარგული ტერიტორიების საბოოოდ ჩაბარების სანაცვლოდ ნატოს გარდა ვერაფერს სთავაზობს...**

**სამარცხვინოდ გამოიყურებით ბატონებო, საქართველოშიც და ქვეყნის გარეთაც, მოყვარესთანაც და მტერთანაც!**

**სირცხვილია! მართლა სირცხვილია!!!“...**

## ილია მეორე: ხალხი დადებით ცვლილებებს ელოდება!



**სხვადასხვა ძალა ცდილობს გავლენის მოპოვებას და თავისი იდეოლოგიის გატარებას, ხალხი კი, დადებით ცვლილებებს ელოდება,** — ამის შესახებ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ილია მეორე წერილში წერს. ილია მეორემ წერილი გაუგზავნა გიორგი გახარიას, სადაც საქართველოს პრემიერ-მინისტრობას ულოცავს.

**„საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისა და პირადად ჩემი სახელით გულითადად გილოცავთ პრემიერ-მინისტრად დანიშვნას. ეს არის საპატიო და ამავე დროს, ფრიად საპასუხისმგებლო თანამდებობა.**

**დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ჩვენს ქვეყანაში დაძაბული პოლიტიკური პროცესები არ დამცხრალა; ეს გასაგებიცაა, რადგან სხვადასხვა ძალა ცდილობს გავლენის მოპოვებას და თავისი იდეოლოგიის გატარებას; ხალხი კი ელოდება დადებით ცვლილებებს. სამწუხაროდ, ამ ხნის განმავლობაში ვერ მოხერხდა მოსახლეობის ყოფითი პრობლემების დაძლევა, სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება, ეროვნული ფასეულობების წინ წამოწევა, ერის გამთლიანება და ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა.**

**იმედს გამოვთქვამთ, რომ ჩვენს მეტად რთულ დროში თქვენი და საქართველოს მთავრობის ძალისხმევა მიმართული იქნება ამ მეტად მნიშვნელოვანი პრობლემების დასაძლევად. უფალი შეგეწიოთ თქვენს ყველა ღვთისსათნო საქმეში“.**

## საქართველო ურთულეს გზაჯვარედინზე!



### NATO, მე-5 მუხლი და ჩვენ, მოკლედ ყველაფერზე

**რას მოუტანს საქართველოს ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსში შესვლა მისივე წესდების მე-5 მუხლის ოკუპირებულ ტერიტორიებზე გაუვრცელებლობის პირობით?**

**განიხილავს თუ არა ნატოში შესვლის ამ ვერსიას საქართველოს ხელისუფლება და თუკი, რა ნაბიჯები უნდა გადადგას ამისთვის?**

**ამ მექანიზმის ამუშავებამ რა გარანტიები შეიძლება მოუტანოს ქვეყანას?**

**რამდენად აქვს საფუძველი იმ აზრს, რომ საქართველომ, შესაძლოა, სამუდამოდ დაკარგოს მე-5 მუხლს მიღმა დარჩენილი აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი?**

**ეს კითხვები მას შემდეგ გააქტიურდა, რაც თბილისში, საერთაშორისო კონფერენციაზე სტუმრად მყოფმა ნატოს ყოფილმა გენერალურმა მდივანმა ანდერს ფოგ რასმუსენმა 10 სექტემბერს განაცხადა, რომ საქართველომ უნდა დაიწყოს დისკუსია ნატოში შესვლის თაობაზე ოკუპირებულ ტერიტორიებზე მე-5 მუხლის გავრცელების გარეშე.**

### რა წერია NATO-ს ხელშეკრულების მე-5 მუხლში?

**მე-5 მუხლი ჩრდილო ატლანტიკური ალიანსის ქვაკუთხედად ითვლება და მისი მთავარი არსი კოლექტიური თავდაცვაა.**

ეს მუხლი ამბობს, რომ ნატოს ერთ წევრზე თავდასხმა ნიშნავს თავდასხმას ნატოს წევრ ყველა ქვეყანაზე. თუმცა მიუხედავად მისი მნიშვნელობისა, ნატომ ეს მუხლი თავის ისტორიაში მხოლოდ ერთხელ გამოიყენა, 2001 წლის 11 სექტემბერს მსოფლიო სავაჭრო ცენტრსა და პენტაგონზე მომხდარი ტერორისტული თავდასხმის საპასუხოდ.

მე-5 მუხლი 1949 წლიდან არსებობს. ამ წლის აპრილში, ვაშინგტონში, შეიკრიბნენ 12 ქვეყნის წარმომადგენლები და ხელი მოაწერეს ჩრდილო ატლანტიკურ ხელშეკრულებას.

ეს ქვეყნები იყო — ამერიკის შეერთებული შტატები, კანადა, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, ბელგია, ჰოლანდია, ნორვეგია, დანია, ლუქსემბურგი, ისლანდია, იტალია და პორტუგალია. სწორედ ამ ხელშეკრულების მთავარი მუხლი გახდა მე-5 მუხლი, რომელიც ასე იწყება:

**„პარტიები თანხმდებიან, რომ შეიარაღებული თავდასხმა ალიანსის ერთ ან მეტ წევრზე ევროპაში ან ჩრდილოეთ ამერიკაში, განიხილება როგორც თავდასხმა ყველა მათგანზე“...**

თუმცა, მეხუთე მუხლში ხაზგასმულია ისიც, რომ კოლექტიური თავდაცვის ზომები, მათ შორის, „სამხედრო ძალა“ მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში უნდა გამოიყენონ.

იხ. 3 გვ.

## მედლინ მუნი: გამოხატვის უფლება – მხოლოდ კანონის ფარგლებში



**ადამიანებს აქვთ გამოხატვის უფლება, მაგრამ გამოხატონ საკუთარი აზრი კანონის ფარგლებში,** — ამის შესახებ ჟურნალისტებს ნატოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტმა მედლინ მუნმა პრორუსული ძალების გაძლიერებაზე, ასევე „პატრიოტთა ალიანსის“ მიერ აშშ-ის საელჩოსთან დაგეგმილი აქციის შესახებ დასმულ კითხვაზე განუცხადა.

**„ყველაზე სახიფათო რამ, რაც შეიძლება, დემოკრატიაში გააკეთო, არის ის, იფიქრო, რომ დემოკრატიაზე პასუხიმგებლობა ეკისრებათ მხოლოდ პოლიტიკოსებს. ეს ასე არ არის. ეს ყველა მოქალაქის პასუხისმგებლობაა. ყველა მოქალაქეს აქვს პასუხიმგებლობა, მოისმინოს და გაანალიზოს მიღებული ინფორმაცია. ყველაზე დიდი რისკი დემოკრატიისთვის არის ის, რომ ჩვენ ვკეტავთ დებატებს. თქვენ მართლაც გაქვთ დიდი გამოწვევები და თქვენი მთავარი გამოწვევა ის არის, როგორ შეინარჩუნებთ ამ ღირებულებებს ღია მედიით, ღია პოლიტიკური დისკუსიით და იმ ხმის გაგონებით, რომელსაც თქვენ აბსოლუტურად არ ეთანხმებით. მარტივი გზა არის მათი გაჩუმება, მაგრამ ჭკვიანურია, დააწესო წესები. კი, ადამიანებს აქვთ გამოხატვის უფლება, მაგრამ გამოხატონ საკუთარი აზრი კანონის ფარგლებში“,** — განაცხადა ნატოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტმა მედლინ მუნმა.

## არჩილ თალაკვაძე: ჩვენი ქვეყანა მზად არის გაწევრდეს ნატოში



**ჩვენი სტრატეგიული მზადყოფნა ერთმნიშვნელოვნად ნიშნავს, რომ ჩვენი მიზანია ჩრდილოატლანტიკურ ორგანიზაციაში გაწევრიანება,** — ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ, არჩილ თალაკვაძემ ალიანსის ყოფილი გენერალური მდივნის, ანდერს ფოგ რასმუსენის განცხადების შესახებ დასმულ კითხვაზე განაცხადა. არჩილ თალაკვაძის თქმით, საქართველო აკმაყოფილებს ნატოს ყველა ძირითად მოთხოვნას და ქვეყნის დემოკრატიული ინსტიტუტები თავსებადია მის სტანდარტებთან.

**„რაც შეეხება გაწევრიანების გადაწყვეტილებას, ასეთი გადაწყვეტილება და მასზე კონკრეტული წინადადების განხილვა უნდა მოხდეს ჩვენი ძირითადი პარტნიორების და ნატოს ყველაზე მაღალი თანამდებობის პირების მხრიდან. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში, შესაძლოა, რომ განხილვა მოხდეს გაწევრიანების კონკრეტულ გადაწყვეტილებაზე. თუმცა, ასევე ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ საქმე, რომელსაც ჩვენ ვაკეთებთ ამ თანამშრომლობის ფარგლებში და ჩვენი სტრატეგიული მზადყოფნა ცალსახად ნიშნავს, რომ ჩვენი სტრატეგიული მიზანი არის გაწევრიანება“,** — განაცხადა არჩილ თალაკვაძემ.

## ირაკლი მექვაბიშვილი: აუდიტის სამსახურმა სამართალდამცავ სტრუქტურებს შარშან 33 ანგარიში გადაუგზავნა

**2018 წელს სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა 33 ანგარიში გადაუგზავნა სამართალდამცავ სტრუქტურებს, მათგან 26 შეეხებოდა ადგილობრივ მუნიციპალიტეტებს,** — ამის შესახებ ჟურნალისტებს გენერალურმა აუდიტორმა ირაკლი მექვაბიშვილმა განუცხადა. მექვაბიშვილის ინფორმაციით, პრაქტიკულად ყველა საკითხზე, სადაც აუდიტის სამსახურის მიერ დანაშაულის ნიშნები გამოიკვეთა, აღძრულია სისხლის სამართლის საქმეები და მიმდინარეობს გამოძიება.

აუდიტის სამსახურის ხელმძღვანელი დეპუტატებს 2018 წლის ანგარიშს აცნობს. მექვაბიშვილის განცხადებით, შარშან 90 ანგარიში გამოქვეყნდა, რაც ისტორიულად მაღალი მაჩვენებელია. გენერალური აუდიტორია თქმით, საინტერესო ანგარიშები მიმდინარე წელსაც გამოქვეყნდება.

## დავით ჭიჭინაძე: ხაზარაძის წარსული ალი ბაბა და 40 ყაჩაღს უფრო ჰგავს, ვიდრე 12 მოციქულს

დეპუტატი დავით ჭიჭინაძე მამუკა ხაზარაძის მიერ საზოგადოებრივი მოძრაობის დაფუძნებას დაგვიანებულ გამოფხიზლებას უწოდებს.



**„12 ლიდერს ვეძებო, მოციქულები მგონია 12-თან დაკავშირებით. ისე, მისი წარსული ალი ბაბა და 40 ყაჩაღს უფრო ჰგავს, ვიდრე 12 მოციქულს. პოლიტიკას ცოტა სხვა ენა ახასიათებს და ვურჩევდი, მეტად ორიენტირებული იყოს ხალხის ბედნიერებაზე და არა ლიდერების ძებნაზე. ლიდერები, ბიზნესის გაგებით, არ ზრუნავენ ხალხისთვის, ისინი ფიქრობენ საკუთარი კომპანიის გამდიდრებაზე. ხაზარაძეს თუ უნდა, რომ საკუთარი პარტიის წევრების გამდიდრებაზე იფიქროს, ვფიქრობ, ძალიან ცუდად დაამთავრებს. არ მგონია, რომ ადამიანმა, რომელიც წლების განმავლობაში ადამიანებს ძარცვავდა, დიდ წარმატებას მიაღწიოს“,** — აცხადებს დავით ჭიჭინაძე.

დეპუტატი გამოეხმაურა ხაზარაძის მოძრაობის სახელწოდებასაც.

**„მსოფლიო ჩემპიონატია ახლა რაგბიში. საქართველოს ნაკრებს სპონსორი ჰყავს „თიბისის“ სახით და ეტყობა უნდა, ესეც მიითვისოს. სხვათა შორის, ბევრი სპონსორი იყო რაგბიში, მაგრამ პოლიტიკაში ეს არავის გამოუყენებია. მის მერკანტილურობაზე მეტყველებს ეს“,** — აღნიშნა დავით ჭიჭინაძემ.

# „ლელო“ 12 ლიდერს ეძებს!




**მამუკა ხაზარაძის საზოგადოებივ მოძრაობას ლელო ერქმევა. ამის შესახებ მან ანაკლიაში პრეზენტაციაზე ნამეტნავად გაბრაზებულმა თქვა. ხაზარაძემ საზოგადოებრივი მოძრაობის დაფუძნება 9 ივლისს დააანონსა.**

ქვეყანაში ბოლო დროს მიმდინარე პროცესები საგანგაშო ფორმებს იღებს, სახეზეა ჩვენი საზოგადოების გახლეჩისა და დაპირისპირების მიზანმიმართული პროცესი. მისივე თქმით, 20 ივნისის ღამე იყო ის წყალგამყოფი, როდესაც ჩვენმა ღირსეულმა და თავისუფალმა ახალგაზრდობამ გულწრფელი და მტკიცე პროტესტი გამოხატა ოკუპაციისა და ძალადობის წინააღმდეგ. ეს პროტესტი არის უწყვეტი, ისტორიული პროცესისა და ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის გაგრძელება.

ხაზარაძემ აღნიშნა, რომ სწორედ დღეს არის საჭირო ჯანმრთელი, პროგრესული და პროდასავლური საზოგადოების კონსოლიდაცია და გაერთიანება, რადგან მისივე განცხადებით, ცხადია, რომ არსებული ვითარების დეესკალაცია და სამოქალაქო მშვიდობის მიღწევა მხოლოდ ხელისუფლების ან პოლიტიკური პარტიების ძალისხმევით პრაქტიკულად შეუძლებელი ხდება.

**— ჩვენ ვეძებთ ლიდერებს, წარმატებულ ადამიანებს. ეს გაერთიანება, უახლოეს ხანში პოლიტიკური პარტია იქნება ლიდერების პარტია. ეს არ იქნება მამუკა ხაზარაძის ან ბადრი ჯაფარაძის პარტია. ეს იქნება ჰორიზონტალური სტრუქტურა, მწყობრად აწყობილი, კონკრეტული მიზნით, შედეგზე ორიენტირებული. მესმის, რომ პოლიტიკაში კონკრეტული თარიღები და მიზნები არ უნდა დასახო, რადგან ადამიანები ძალაუფლებისთვის მოდიან, ჩვენ პირიქით გავაკეთებთ, რათა ეს ქვეყანა ძალიან სწრაფად ან გამოვა მდგომარეობიდან ან ვიქნებით ამ ჭაობში. ეს მენტალური ჭაობია. მოვძებნით 12 ლიდერს ყველა სფეროში, ეს პროცესი დაწყებულია, 12 რეფორმატორს მედიცინაში, 12 რეფორმატორს განათლებაში, მრგვალი მაგიდების გარშემო, 12 კაცს ლიდერს და 12 ქალს ლიდერს რაიონში, რადგან ეს ქვეყანა ვიღაც მესიის და ერთი კაცის გადასარჩენი კი არ არის, თითოეულის გადასარჩენია. ეს ლიდერობა ქართველს ოდითგანვე მოსდევს.**

**112 წლის წინ 12 რიცხვში ილია ჭავჭავაძე მოკლეს. ეს დამთხვევაა, დამერწმუნეთ. დღესაც 12 რიცხვია. ჩვენ ამის გამო არ შევგირჩევია ეს დღე, მაგრამ ეს დამთხვევა კიდევ ერთ რამეს მიანიშნებს, ილია ჭავჭავაძეც 12 ინჟინერს ეძებდა, რომ ქვეყანა გადარჩენილიყო. მინდა, რომ ეს ძებნა ყველამ დავიწყოთ“,** — განაცხადა მამუკა ხაზარაძემ.

ანაკლია არის ადგილი, სადაც შეიქმნება უამრავი სამუშაო ადგილი და შესაძლებლობა იმისა, რომ ერთხელ და სამუდამოდ საქართველომ დაიბრუნოს ფუნქცია სამეზობლოში, რეგიონში და მსოფლიო რუკაზე.

მამუკა ხაზარაძის თქმით, ანაკლია ახალი შემობრუნების წერტილი უნდა გახდეს.

**„ჩვენ ახლა ანაკლიაში ვიმყოფებით. იმ ადგილას, სადაც ე.წ. საზღვარი გვყოფს აფხაზებთან, სადაც ყველაზე ახლო წერტილია ევროპასთან. ადგილი, სადაც უნდა მოხდეს პრაქტიკულად, ახალი შემობრუნების წერტილი და მომენტი ქართულ სინამდვილეში. ეს არის ადგილი, სადაც უზარმაზარი პოტენციალის უზარმაზარი პროექტი უნდა განხორციელდეს და ხორციელდება. სადაც შეიქმნება უამრავი სამუშაო ადგილი და შესაძლებლობა იმისა, რომ ერთხელ და სამუდამოდ, საქართველომ დაიბრუნოს ფუნქცია სამეზობლოში, რეგიონში და მსოფლიო რუკაზე. ჩვენ უნდა შევიტანოთ ჩვენი კონტრიბუცია ამ უზარმაზარ გადანაწილებაში, რასაც გზების, ტრანსპორტის და თუნდაც პოლიტიკის მნიშვნელობა ჰქვია“...**

## გია ვოლსკი: არ მოველოდი, ხაზარაძეს თუ ასეთი ბიბლიურ, მისტიურ-ლირიული წარმოდგენა ჰქონდა...



საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი გია ვოლსკი აცხადებს, რომ მამუკა ხაზარაძის საზოგადოებრივი მოძრაობის პრეზენტაციის შედეგად მდარე შთაბეჭდილება დარჩა.

**„მართალი გითხრათ, არ მოველოდი, რომ ასეთი ბიბლიურ, მისტიურ-ლირიული წარმოდგენა ჰქონდა — ლელო, საქართველო, პოეზია. მეტს მოველოდი. არ ვიცი, ვნახოთ მომავალში როგორ განავითარებს. მე ძალიან მდარე შთაბეჭდილება დამრჩა“.**

რაც შეეხება კითხვას, ხაზარაძესთან შესაძლო სამომავლო თანამშრომლობაზე, საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი ამბობს, რომ საზოგადოებამ გარკვეულწილად თავისი პოლიტიკური კულტურით პოლიტიკურ პარტიებს გაუსწრო.

**„ვფიქრობ, პოლიტიკურმა პარტიებმა უნდა გადავხედოთ ჩვენს ყოფიერებას, რადგან საზოგადოებამ გარკვეულწილად გაუსწრო პოლიტიკური კულტურით პოლიტიკურ პარტიებს, რომლებიც კვლავ ძველ ჩარჩოში აგრძელებენ ერთმანეთთან პოლემიკას. როგორც გადაწყვეტს საზოგადოება ისე იქნება, ვინ შემოვა პარლამენტში, ვინ არ შემოვა, ვინ დარჩება პოლიტიკურ ველზე და ვინ არა, ამას წყვეტს ამომრჩეველი“.**

## „ლელო, ლელო, საქართველო“!

არ უნდა ახლა ამას ბევრი ბალალაიკა:

1. ხალხი ვერ იტანს მევახშეებს (მაჩვენეთ ქართუ ბანკის კრედიტისგან გაუბედურებული თუნდაც ერთი ადამიანი).
2. ხალხი ვერ იტანს უნიტაზის მწერლებს (რაც არ უნდა გაუნათლებელი იყოს ქართველი, დიდი ლიტერატურის სიყვარული გენეტიკაში აქვს. იმ ბანაჯოების მუზა — ფულია).
3. ხალხი ვერ იტანს „ავრორას გასროლის“ შემდეგ გამოჩეკილი „არისტოკრატებს“.
4. ხალხი ვერ იტანს გაბორობოტებულ, აგრესიულ, ნაც-არასამთავრობოებს.

ეგაა და ეგ.

ახლა ერთად ვიმღეროთ — „ლელო, ლელო — საქართველო“!

**გია გაბრიჭიძე**

## მიხეილ სააკაშვილი: ხაზარაძე რა შუაშია საერთოდ პორტთან?



**ანაკლიის პორტი, უკვე დამთავრებული იქნებოდა, თუ არა ხაზარაძე და ის „შანტრაბა“ რომელმაც მხარი დაუჭირა ბიძინა ივანიშვილს 2012 წელს,** — ასე გამოეხმაურა საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი მამუკა ხაზარაძის მიერ ახალი საზოგადოებრივი მოძრაობის დაფუძნების საკითხს.

**„ცალი თვალით შევხედე მამუკა ხაზარაძის პრეზენტაციას ანაკლიაში, ლაზიკაში და ვნახე, ამ კრიალოსნიანი ბიჭების შეკრება და მოთქმა იმაზე, რომ ერთი და იგივე წრეზე დავდივართ 30 წელი. თურმე, ამ ხაზარაძემ და კრიალოსნიანმა ბიჭებმა, თეთრ, ფართხუნა ტანსაცმელში ჩაცმულებმა უნდა გაარღვიონ ეს წრე. ხაზარაძემ უკვე გაარღვია ეს წრე, ანაკლიის პორტი, იგივე ლაზიკის პორტი უკვე დამთავრებული იქნებოდა, თუ არა ხაზარაძე და ის „შანტრაბა“ რომელმაც მხარი დაუჭირა ბიძინა ივანიშვილს 2012 წელს. ამ ხალხმა მოიყვანა ივანიშვილი, ამ ხალხმა მოიყვანა ზურაბიშვილი, პირადად ხაზარაძემ დაწერა წერილი გასული წლის არჩევნებზე. მართლა ხომ არ გგონიათ, რომ სკლეროზი გვაქვს? რა შუაშია ხაზარაძე და ლაზიკის პორტი ერთმანეთთან“,** — განაცხადა სააკაშვილმა.

# საქართველო ურთულეს გზაჯვარედინზე!

(პირველი გვერდიდან)

## მე-5 მუხლი და საქართველო

**მე-5 მუხლის საკითხი საჯაროდ აქტუალური საქართველოში გახდა ჯერ კიდევ გასულ წელს, 2018-ში, კვლევითი და ანალიტიკური ცენტრის, „Heritage Foundation"-ის მიერ, მკვლევარ ლუკ კოფის ნარკვევის გამოქვეყნების შემდეგ, რომელშიც ეწერა, რომ რადგან საქართველოს გაცხადებული აქვს ოკუპირებული ტერიტორიების დასაბრუნებლად ძალის გამოუყენებლობა, აღარ არის საჭირო აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთზე ალიანსის წესდებით გათვალისწინებული მე-5 მუხლის გავრცელება.**

მისი შემოთავაზება ასეთი იყო: საქართველო საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში უნდა მიიღონ NATO-ში, მაგრამ მე-5 მუხლით გათვალისწინებული უსაფრთხოების გარანტია არ უნდა გავრცელდეს ორ ოკუპირებულ ტერიტორიაზე მანამ, სანამ კონფლიქტი მშვიდობიანი გზით არ მოგვარდება.

ეს საკითხი ერთი წლის შემდეგ ისევ წამოიწია თბილისში გამართულ საერთაშორისო კონფერენციაზე, რომლის სახელწოდება იყო „Now What", როდესაც ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის ყოფილმა გენერალურმა მდივანმა ანდერს ფოგ რასმუსენმა განაცხადა, რომ საქართველოსა და ალიანსში უნდა იმსჯელონ მექანიზმის შემუშავებაზე, რომლის მიხედვითაც, იმ შემთხვევაში, თუ საქართველო ალიანსის წევრი გახდება, ნატოს წესდების მეხუთე მუხლი მხოლოდ საქართველოს ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე გავრცელდება.

**NATO, მე-5 მუხლი და ჩვენ.**

**●**

**მოკლედ ყველაფერზე**



## ოკუპირებული ტერიტორიები მე-5 მუხლს მიღმა

**თუ საქართველო გახდება ნატოს წევრი იმ პირობით, რომ ალიანსის მე-5 მუხლი არ ამოქმედდება ოკუპირებულ ტერიტორიებზე, ეს:**

სულაც არ ნიშნავს იმას, რომ საქართველო ალიანსის წევრი ხდება **აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის გარეშე;**

ეს არ ნიშნავს ოკუპირებული ტერიტორიების **დათმობას;**

ეს ნიშნავს იმას, რომ იარსებებს **დათქმა,** რომ ამ კონკრეტულ ტერიტორიებზე, დროებით, კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარებამდე, ერთი კონკრეტული მუხლი არ გავრცელდება.

მსგავსი პრეცედენტი მოხდა 1955 წელს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის (დასავლეთ გერმანია) შემთხვევაში – ის სწორედ ასე გახდა ნატოს წევრი, რამაც საბოლოოდ გერმანიის გაერთიანებასაც შეუწყო ხელი.

მაშინ ნატოს წესდება არ ვრცელდებოდა აღმოსავლეთ გერმანიაზე. თუმცა, 1991 წელს, გერმანიის გაერთიანების შემდეგ, ნატოს წესდება აღმოსავლეთ გერმანიაზეც გავრცელდა.

## რატომ შეიცვლება წესდების მე-6 მუხლი?

**თუ საქართველო მისი საერთაშორისოდ აღიარებული ტერიტორიის ფარგლებში, (აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ჩათვლით) გახდება ნატოს წევრი, ალიანსს მოუწევს შეცვალოს წესდების მე-6 მუხლი (რომელიც განსაზღვრავს, თუ რომელი ტერიტორიების დაცვას ითვალისწინებს მე-5 მუხლი), იმისთვის, რომ დროებით გამორიცხოს მე-5 მუხლით დაცვისგან რუსეთის მიერ ოკუპირებული საქართველოს რეგიონები.**

ეს ნიშნავს, რომ ნატოსგან თავდაცვის გარანტიას მიიღებს მხოლოდ დანარჩენი საქართველო.

## რა აჩენს შიშებს, რომ საქართველო დაკარგავს აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთს?

**„არასწორი წარმოდგენა ნატოში საქართველოს გაერთიანებაზე",** – განმარტავს პოლიტოლოგი, „ევროპული კვლევების ცენტრის დირექტორი" **კახა გოგოლაშვილი.**

ნატოს წევრობა არ ნიშნავს სადღაც შესვლას და კარის გამოხურვას. ამ შესვლის მიღმა დგას სწორედ კოლექტიური თავდაცვის სისტემა.

ნატოში ამ დათქმით შესვლის შემთხვევაში, ხელშეკრულებას აუცილებლად მოჰყვება დეკლარაცია, სადაც ეწერება, რომ ნატო აღიარებს:

- **საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას;**
- **ყოველთვის მხარს დაუჭერს საქართველოს გაერთიანებას.**

მაგრამ ამავე დროს ითქმება, რომ მე-5 მუხლი არ გავრცელდება ოკუპირებულ ტერიტორიაზე, იქ საქართველოს ხელისუფლების კონტროლის აღდგენამდე.

## რატომ სჭირდება ეს დათქმა ნატოს საქართველოს ალიანსში მისაღებად?

**თუ ხელშეკრულებაში არ აღინიშნა, რომ კოლექტიური თავდაცვის ვალდებულება არ ვრცელდება ოკუპირებულ ტერიტორიებზე, მაშინ მისი ხელმოწერისთანავე, ნატოს წევრი ქვეყნები აღმოჩნდებიან იმ ფაქტის წინაშე, რომ საქართველოს მიმართ ხორციელდება აგრესია, რაც მე-5 მუხლის თანახმად, ავტომატურად ნიშნავს, რომ ეს აგრესია ხორციელდება ნატოს წევრების მიმართაც და მათ ომი უნდა დაუწყონ რუსეთს.**

ეს ნიშნავს, რომ ნატოსთვის აბსოლუტურად არ იქნება რაციონალური, ალიანსში მიიღოს ქვეყანა, რომელიც გაწევრიანების წამიდანვე მას ომის წინაშე აყენებს.

## რუსეთიდან მომავალი საფრთხე და გარანტიები საქართველოსთვის

**რუსეთისთვის მიუღებელია ნებისმიერი ვერსია, თუ როგორ აღმოჩნდება საქართველო ნატოში, მაგრამ დღეს საქართველოს ამოცანაა, რომ დასავლეთისთვის არ იყოს ეს მიუღებელი.**

თუმცა, ამავე დროს, განმარტავს კახა გოგოლაშვილი, რუსეთს არ ექნება არანაირი კაზუს ბელი, ნატოში საქართველოში გაწევრიანების გამო, საქართველოს უეცრად ომი დაუწყოს.

რა გარანტიების იმედი შეიძლება ჰქონდეს საქართველოს?

გარანტია იმისა, რომ საქართველო დაცული იქნება ტერიტორიების მიტაცებისგან. მათ შორის, ე.წ. სამხრეთ ოსეთში საზღვრის გადმოწევის ფაქტებისგან, რომელსაც დღეს საქართველოს ხელისუფლება ვერაფრით პასუხობს.

ჩრდილო-ატლანტიკურ პაქტთან მიერთების შემდეგ ეს ნატოს მხრიდან ცალსახა, ერთმნიშვნელოვან აგრესიად განიხილება.

## რა აზრისაა საქართველოს ხელისუფლება?

**„ოფიციალურად ეს საკითხი დღის წესრიგში არ დამდგარა",** – უთხრა „რადიო თავისუფლებას" პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ **ირაკლი სესიაშვილმა.**

**„საინტერესოა და განხილვას იმსახურებს, კონსულტაციების გაგრძელება ამ საკითხზე ნამდვილად ღირს",** – განაცხადა უმრავლესობის წევრმა **გია ვოსლკიმ,** რომლის თქმითაც, ამ ინიციატივაზე შარშანაც იყო საუბარი.

**„ჩვენთვის მისაღებია ის, რომ საქართველო ნატოს წევრი გახდეს სრული ტერიტორიების ფარგლებში. სპეკულაციები და კუდის მობმა ამ თემაზე არასწორი და ზედმეტია. ეს ქვეყნის ინტერესებს არ შეესაბამება",** – ასე გამოეხმაურა საკითხს პარლამენტის ვიცე-სპიკერი **თამარ ჩუგოშვილი** და მანაც შენიშნა, რომ ეს არ ყოფილა ოფიციალური შემოთავაზება ნატოს ოფიციალური წარმომადგენლის მხრიდან, ამიტომ ამ საკითხზე ზედმეტი „ღელვა და ნერვიულობა" არ ღირს.

**იმისთვის, რომ ნატოში საქართველოს გაწევრიანებაზე (ისე, რომ მეხუთე მუხლი არ გავრცელდეს ოკუპირებულ ტერიტორიებზე) დისკუსია დაიწყოს, საჭიროა, ნატომ გამოიჩინოს პოლიტიკური ნება და ამ იდეას მხარდაჭერა ჰქონდეს მის 29 წევრი ქვეყნის მხრიდან,** – უთხრა „რადიო თავისუფლებას" საქართველოში ატლანტიკური საბჭოს ვიცე-პრეზიდენტმა **ბათუ ქუთელიამ.**

ხოლო საქართველოს ხელისუფლებამ დაიწყოს მოლაპარაკებები ყველა კრიტიკულ დედაქალაქში, ნატოს შტაბბინაში, უფრო ფართო საექსპერტო წრეებთან.

**„ეს არის ჩვეულებრივი დიპლომატიური პროცესი, რომელსაც სჭირდება მთავრობის ერთიანი მიდგომა".**

**ეკა ქევანიშვილი**

## ირაკლი ოქრუაშვილის გათავისუფლების სანაცვლოდ – ნახევარი მილიონი ლარი!

**ირაკლი ოქრუაშვილის მეგობრებმა გადავწყვიტეთ, სასამართლოს გირაოს სახით 500 000 ლარი შევთავაზოთ,** – ამის შესახებ პარტია „გამარჯვებული საქართველოს" ერთ-ერთმა ლიდერმა გურამ ჩალაგაშვილმა პრესკონფერენციაზე განაცხადა.



გურამ ჩალაგაშვილის თქმით, ირაკლი ოქრუაშვილის საქმე მიუთითებს, რომ პირადად „ქართული ოცნების" თავმჯდომარე ბიძინა ივანიშვილი არის დაინტერესებული ოქრუაშვილის პატიმრობით.

**„ოქრუაშვილმა ივანიშვილის ხელისუფლებას შეუქმნა მნიშვნელოვანი საფრთხე და სწორედ ამის გამო დააპატიმრეს. ეს არის მიზეზი, რომ მას მოსამართლე არანაირი პირობით არ გაათავისუფლებს მომდევნო სასამართლო პროცესზე. მისმა მეგობრებმა გადავწყვიტეთ, სასამართლოს გირაოს სახით 500 000 ლარი შევთავაზოთ. ასეთი თანხის გირაო დღემდე, მხოლოდ ბიზნესმენ მამუკა ხაზარაძის და ავთო წერეთლის მიმართ იქნა გამოყენებული. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ივანიშვილს ოქრუაშვილი მხოლოდ ციხეში სჭირდება და არც ამ თანხის გირაოს სანაცვლოდ აპირებს მის გათავისუფლებას. ბიძინა ივანიშვილმა დაინახა მასში ნომერ პირველი მტერი, რომელსაც შეუძლია და შეძლებს ეს ხელისუფლება გაუშვას პოლიტიკურ სანაგვეზე",** – განაცხადა გურამ ჩალაგაშვილმა.

# ქართული მიწა – უფასო ლუკმა კრემლისთვის...

## რუსეთი დასავლეთში საქართველოს თაობაზე ეჭვების გაჩენას ცდილობს



**საქართველოში რუსეთის შეჭრიდან 11 წლის შემდეგ რუსეთის საოკუპაციო ძალებმა ე.წ. საზღვრების უკანონო გავლებისა და გადმოწევის პროცესი განაგრძეს. რის დემონსტრირებას ცდილობს რუსეთი და რეალურად რას აღწევს ამით? რა უნდა გააკეთონ საქართველოს ხელისუფლებამ და დასავლეთმა იმისთვის, რომ ქართული მიწა კრემლისთვის „უფასო ლუკმა“ არ აღმოჩნდეს. ამ და სხვა თემებზე დღეს დეიმონ უილსონი, „ატლანტიკური საბჭოს“ ვიცე-პრეზიდენტი გვესაუბრება.**

**— საოკუპაციო რეჟიმის წარმომადგენლებმა აგვისტოში ე.წ. „ბორდერიზაციის“ პროცესი განაახლეს. ახალ ბარიერებს მიღმა კვლავ მოექცა სახლები და მიწის ნაკვეთები, გაიტაცეს საქართველოს მოქალაქეები. რის დემონსტრირებას ცდილობს ამით რუსეთი?**

— ჩვენ ვხედავთ, რომ ქვეყნის დიდი ნაწილი ოკუპირებულია, ვხედავთ ამ მცოცავი „ბორდერიზაციის“ პროცესს, გამყოფი ხაზის გამყარებას. ვფიქრობ, ეს ნამდვილი სირცხვილია.

ჩვენ მიჩვეულნი ვართ, რომ რუსეთი აქა-იქ გვცდის და ამოწმებს, როგორი რეაქციები მოჰყვება ამ ქმედებებს. ამიტომ, ვფიქრობ, მნიშვნელოვანია, რომ მედია, საქართველოს ხელისუფლება, სამოქალაქო და საერთაშორისო საზოგადოება ამ საკითხზე ფოკუსირებული დარჩეს, დაგმოს ეს და დაამშვიდოს ხალხი იმით, რომ მას ხედავენ, რომ ყურადღება ნამდვილადაა მიპყრობილი, რომ ამგვარი რამ ჩუმად არ მოხდება და უპასუხოდ ვერ დარჩება.



**— რა შედეგს იღებს კრემლი რეალურად ამით? ცდილობს საქართველოს არშემდგარ სახელმწიფოდ წარმოჩენას? შიშის დათესვას? რა არის რეალური მიზანი და მიღწევა მისთვის?**

— ვფიქრობ, კრემლის წარმომადგენლებს ესმით, რომ საქართველოს, როგორც ქვეყნის წარმატება საშინაო საკითხებში, პირდაპირ უკავშირდება ტრანსატლანტიკურ ალიანსებში გაერთიანების მისწრაფებებს და სურვილს, რომ ევროპისა და ნატოს უფრო მჭიდროდ დაკავშირებული ნაწილი იყოს. მათი სტრატეგიის მიზანია, რომ საქართველოში ბალანსი დაირღვეს, გაჩნდეს შეკითხვები, დათესონ უთანხმოება ქვეყნის შიგნით და შეძლონ წამყვან ევროპულ დედაქალაქებსა და ამერიკაში ეჭვებისა და ორაზროვნების წამოჭრა საქართველოს თაობაზე.

ეს არ ნიშნავს იმას, რომ საქართველოს არა აქვს საკუთარი, ნამდვილი პრობლემები, რომელთაც უნდა გაუმკლავდეს, მაგრამ ეს იმას ნიშნავს, რომ რუსეთს აქვს მოტივი, მიზანი, აჩვენოს, რომ საქართველო ვერ წყვეტს საკუთარ ბედს, რომ ეს კვლავ სახიფათო საკითხია, რომ საზოგადოებაში რეალური დაპირისპირებებია.

**— ოპოზიციას და საზოგადოების ნაწილს მიაჩნია, რომ საქართველოს ხელისუფლების მხრიდან საკმარისად მკაცრი და ხმამაღალი განცხადებები არ გაკეთდა. ხედავთ ამ პრობლემას? ფიქრობთ, რომ მეტი საერთაშორისო ყურადღების მისაღწევად უფრო აქტიური ქმედებები იყო საჭირო?**

— ჩვენ ვაშინგტონში მოვისმინეთ საქართველოს ელჩის განცხადებები „მცოცავი ოკუპაციისა“ და ბორდერიზაციის შესახებ, რომელიც კვლავ მიმდინარეობს. ჩვენ ჩართულობა უნდა შევინარჩუნოთ. უნდა გვქონდეს ინფორმაცია და ყურადღების ცენტრში დავტოვოთ ეს საკითხი. გავაკეთოთ ყველაფერი, რაც შესაძლებელია, რომ საქართველოს ოკუპირებული ნაწილის მოსახლეობას ქვეყნის შიგნით არსებული შესაძლებლობები დავანახოთ.

ყოველთვის არის რაღაც მეტი, რის გაკეთებაც შეიძლება „ბორდერიზაციასთან“ დაკავშირებით, მაგრამ, ვფიქრობ, ამჟამად ყველაზე მნიშვნელოვანია გამყოფი ხაზის ორივე მხარეს ალტერნატივების შექმნა და ჩვენება, რას ნიშნავს ოკუპირებულ ტერიტორიაზე ცხოვრება და როგორია თავისუფალ, დემოკრატიულ საქართველოში ცხოვრება, რომელსაც შეუძლია, ჰქონდეს კეთილდღეობა. ვფიქრობ, ქართველ ლიდერებს, უპირველეს ყოვლისა, ეს ამოცანა უნდა ჰქონდეთ.

**— კრიტიკოსთა ნაწილის აზრით, ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ „მცოცავი ოკუპაცია“ გრძელდება, ისაა, რომ საქართველოს ხელისუფლებას რუსეთის მიმართ უფრო რბილი პოზიცია აქვს. ხედავთ ამ პრობლემის არსებობას? როგორ ფიქრობთ, შეიძლებოდა ქართულ მხარეს მეტი გაეკეთებინა იმისთვის, რომ განახლებულ „ბორდერიზაციას“ მეტი საერთაშორისო ყურადღება დათმობოდა?**

— ამაზე სამართლიანად შეიძლება იყოს მსჯელობა. რუსეთი ქვეყნის გიგანტური ჩრდილოელი მეზობელია, ევროპა ამჟამად უფრო დაყოფილია. რა ნაწილში უნდა დავუპირისპირდეთ რუსეთს? რა ნაწილში მივდიოთ ჩვენს ინტერესებს? მაგრამ, სასწორზე ის დევს, რომ საქართველოს უსაფრთხოება, მისი ინსტიტუტები, არჩევნები, ინფორმაციის თავისუფალი სივრცეები და სხვა, დაცული იყოს. რუსეთის მზარდი აგრესიული სტრატეგია მხოლოდ საქართველოს არ მიემართება, ის უფრო ფართოდ, ღია, დემოკრატიულ საზოგადოებებს იღებს მიზანში. იქნება ეს საინფორმაციო კამპანიები თუ ჯაშუშობა და სხვა ფარული ქმედებები. ფხიზლად უნდა ვიყოთ საქართველოს ინტერესების დასაცავად, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა, თანამედროვე ევროპული სახელმწიფო იქნებოდა ამაზე ფოკუსირებული.

**— ჩვენ ვიხილეთ ვითარების ესკალაციის რისკი სოფელ ჩორჩანასთან. დეფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლებმა თბილისს საგუშაგო პოსტის მშენებლობის შეწყვეტის თაობაზე ულტიმატუმიც კი წაუყენეს. როგორ ფიქრობთ, რა შეიძლება გაკეთდეს საქართველოს ხელისუფლების თუ დასავლეთის მხრიდან მსგავსი მოვლენების თავიდან ასაცილებლად?**

— ჩვენ ვიცით, რომ 2008 წლის რუსეთის შეჭრისა და ომის შემდეგ მიღწეული შეთანხმება მაინც არასასურველ შედეგებს გულისხმობდა საქართველოსთვის. ჩვენ ვცდილობდით სხვადასხვა ფორმატის შექმნას, იქნებოდა ეს ინციდენტების პრევენციის ჯგუფი თუ სხვა ფორმატები, რომლებიც, ერთი მხრივ, საქართველოს მხრიდან ტერიტორიების დაკარგვის არაღიარებას გულისხმობდა, მეორე მხრივ კი, იმის გარანტიებს შექმნიდა, რომ მცირე ინციდენტები არ გამწვავდებოდა. მაგრამ ფაქტია, რომ იქ ძალიან რთული ვითარებაა.

**— 2007 წელს, მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენციაზე პუტინმა თქვა, რომ არსებული მსოფლიო წესრიგი მიუღებელი იყო და ერთი წლის შემდეგ საქართველოში შეჭრით ღიად დაიწყო ამ წესრიგის თავდაყირა დაყენება. ამის შემდეგ კი გამუდმებით არღვევს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმებას. თუმცა, კონკრეტულად საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული აგრესიისთვის მის მიმართ ზომები არ გატარებულა. როგორ ფიქრობთ, კრემლს მიაჩნია, რომ ქართული მიწების მიტაცება ყველანაირი საფასურის გადახდის, დასჯის გარეშე შეუძლია? არის იმის სივრცე, რომ საქართველომ ამ საკითხის სხვაგვარად დაყენება ითხოვოს საერთაშორისო საზოგადოებისგან?**

— მართებული იქნებოდა, 2008 წელს ისეთივე კონკრეტული სანქციები ყოფილიყო მიღებული რუსეთის წინააღმდეგ, როგორიც ყირიმის ანექსიის შემდეგ, უკრაინასთან დაკავშირებით. მაგრამ არ ვფიქრობ, რომ რუსეთი არ იხდის ფასს იმისთვის, რაც საქართველოში ჩაიდინა.

იყო დებატები იმაზე, რა იყო რუსეთის სტრატეგიის ნაწილი და რა — ვთქვათ, ქართული პროვოკაცია. მაგრამ დღეს ჩვენ გვესმის, რომ ვლადიმირ პუტინი მახეს აგებდა და საქართველო სხვადასხვა კუთხით გაება ამ მახეში. ეს ყველაფერი სამწუხაროა, რადგან 2008 წელს, ნათელ პასუხს მნიშვნელოვანი შემაკავებელი ეფექტი ექნებოდა იმაზე, რაც უკრაინაში ვიხილეთ.

ბევრი ის გამოწვევა, რაც დღეს რუსეთს აქვს, არ არის მხოლოდ უკრაინაში განხორციელებულ აგრესიასთან დაკავშირებული. ეს იმის შედეგია, რომ საბოლოოდ ყველა გამოფხიზლდა და ყველამ გაიაზრა, რა ხდებოდა. ეს კი ნაწილობრივ იმასთანაა დაკავშირებული, რაც 2008 წელს საქართველოში მოხდა.

**— ჩვენ ვხედავთ ქვეყანაში უკიდურეს პოლარიზაციას, ვნახეთ ე.წ. გავრილოვის ღამე და შემდეგ გიორგი გახარიას პრემიერად წარდგენა. როგორ ფიქრობთ, ეს საკითხები აჩენს კითხვებს დასავლეთის თვალში იმის თაობაზე, რამდენად შეუქცევადად ვითარდება დემოკრატია საქართველოში. შეიძლება მისი იმიჯი მართლაც დაზიანდეს?**

— საქართველოს დემოკრატიული განვითარების გზაზე იყო ნაბიჯები წინ და ნაბიჯები უკანაც. მნიშვნელოვანია, რომ მთლიანობაში ტენდენცია აღმავალი იყოს. ჩვენ საქართველოში გავრილოვის ინციდენტით გამოწვეული რეალური პროტესტი ვიხილეთ. ეს იყო ქართული სიამაყის, იდენტობის, სამოქალაქო შეგნებისა და ქვეყანაში რუსული გავლენის არსებობასთან დაკავშირებული უკმაყოფილების დემონსტრირება. ამაზე პასუხი, სამოქალაქო საზოგადოებისა და აქციის მონაწილეების აზრით, ზედმეტი და გადაჭარბებული იყო, მაგრამ ამასთან ერთად, ჩვენ ვნახეთ პროტესტის პასუხად შემოთავაზებული რეფორმების პაკეტიც. ჩნდება კითხვა, შეძლებს თუ არა მთავრობა შემდეგ არჩევნებზე ნაბიჯის წინ გადადგმას და არა — უკან.

ბოლო საპრეზიდენტო არჩევნები დემოკრატიული განვითარების კუთხით არ იყო წინსვლა. ახლა კი რეფორმების ამ პაკეტს აქვს პოტენციალი. თუმცა, ამავე დროს, გვაქვს მთავრობის განახლებული შემადგენლობა და ვფიქრობ ეს წამოჭრის კითხვებს ბევრი იმ ადამიანისთვის, ვისაც აწუხებს ის, თუ საით მიდის საქართველო. საერთაშორისო საზოგადოება დააკვირდება, გააუმჯობესებს თუ არა ეს ცვლილებები მმართველობასა და დემოკრატიულ პროცესს. ეს კითხვა ღიად დარჩება მომავალ საპარლამენტო არჩევნებამდე.

**— ბევრი ანალიტიკოსი ბოლო წლებში ამერიკა-რუსეთის ურთიერთობას ახასიათებდა, როგორც ცივი ომის შემდეგ ყველაზე ცუდს. სად ვართ ახლა ამ კუთხით?**

— კარგ მდგომარეობაში ნამდვილად არ ვართ. ვფიქრობ, ჩვენ კვლავ ვხედავთ, რომ გრძელდება განცდის შექმნა, თითქოს რუსეთს გარედან ემუქრებიან, იქმნება გარე მტრის ხატი, რათა ამან კრემლის მმართველობა გაამართლოს. „ატლანტიკური საბჭო“ სულ ცოტა ხნის წინათ დასახელდა არასასურველ უცხოურ ორგანიზაციად მოსკოვში, ამერიკის ელჩს ადანაშაულებდნენ პროტესტის ორგანიზებაში, გრძელდება ამერიკის დემონიზება და ა.შ. ვფიქრობ პროცესი უარსდება, მაგრამ ეს შიდა დინამიკითაა განპირობებული, რათა ხალხს რაციონალურობა შესთავაზონ, უთხრან, რატომ უნდა იყოს კრემლის ცენტრში ძლიერი მმართველობა. რომ ეს საჭიროა რუსეთის გარე საფრთხეებისგან, ამერიკისგან, მეზობლებისგან, ევროპისგან, ნატოსგან დასაცავად.

**— მიუხედავად იმისა, რომ კრემლის აგრესიული ქმედებები მეზობლების მიმართ არ შეცვლილა, ის ერევა დასავლური დემოკრატიების შიდა საქმეებსა და არჩევნებში, აგრძელებს ტეროტორიების ოკუპაციასა და ანექსიას, ჩვენ ვიხილეთ მისთვის ხმის უფლების დაბრუნება ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში, მოვისმინეთ პრეზიდენტ ტრამპის სურვილი, დააბრუნოს ის დიდი შვიდეულის მაგიდასთან. რა ტიპის გზავნილია ეს საქართველოსა და უკრაინის მსგავსი ქვეყნებისთვის?**

— კრემლმა დასავლეთთან წარსული გამოცდილებით ისწავლა, რომ როდესაც საქმე ცუდად მიდის და მსოფლიოს უდიდესი დემოკრატიები რეაგირებენ, ხშირად მას უბრალოდ სჭირდება გაჩერდეს, მოითმინოს და დაელოდოს სხვებს, რომ ისინი მას მოუბრუნდებიან. ჩვენ კომფორტულად უნდა ვიგრძნოთ თავი, როცა რუსეთთან არაკომფორტული ურთიერთობა გვაქვს. ეს არ ნიშნავს რომ დიალოგისთვის კომუნიკაციის არხები არ უნდა გვქონდეს, მაგრამ ეს ნიშნავს, არ დააჯილდოვო ის ცუდი ქცევისთვის, არ მიიღო გადაწყვეტილება და შემდეგ უკან არ დააბრუნო ისინი იმ შემთხვევაში, როცა მისი (რუსეთის) ქცევა არ შეცვლილა. მისი „დიდი შვიდეულის“ ფორმატში დაბრუნება ცუდი იდეაა. ეს კრემლს მხოლოდ იმას ასწავლის, რომ უნდა მოიცადოს ხოლმე, სანამ ჩვენ ეს არაკომფორტული ურთიერთობა არ შეგვაწუხებს...

**ესაუბრა**
**ეკა მაღალდაძე**

# ინვესტორებს ქვეყნიდან გუდა-ნაბადი არ აუკრავთ!..



**2019 წლის მეორე კვარტალში საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა 53,7%-ით შემცირდა. ასეთი მკვეთრი ვარდნა მრავალი წელია, არ ყოფილა და იგი 2006 წლის ნიშნულამდე დაეცა. მიუხედავად ამისა, მთავრობის წევრები და ეკონომისტების ნაწილი საგანგაშოს ამ ეტაპზე ვერაფერს ხედავენ.**

„საქსტატი“ ინვესტიციების კლების მიზეზს სხვაგვარად განმარტავს. უწყების ინფორმაციით, ამ მხრივ ნეგატიური გავლენა მაგისტრალური გაზსადენის მშენებლობის დასრულებამ იქონია. ორგანიზაცია ასევე აცხადებს, რომ შემცირების კიდევ ერთი მიზეზი არარეზიდენტი პირდაპირი ინვესტორის მიმართ ვალდებულებების შემცირება და რეინვესტიციების მოცულობის შემცირებაა.

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წინასწარი მონაცემებით, საქართველოში ინვესტიციები სერიოზულად შემცირდა. წინასწარი მონაცემებით, ინვესტიციების მოცულობამ 2019 წლის მეორე კვარტალში 187 მილიონი დოლარი შეადგინა.

ინვესტიციების შემცირება შეიმჩნევა ნიდერლანდებიდან, აზერბაიჯანიდან, თურქეთიდან, პანამიდან, ჩეხეთიდან და სხვა ქვეყნებიდან.

სამი უმსხვილესი სექტორის წილმა (განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიხედვით) 2019 წლის II კვარტალში 69.6 პროცენტი შეადგინა. ყველაზე მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიცია ენერგეტიკის სექტორში განხორციელდა და 63.7 მლნ აშშ დოლარს მიაღწია, რაც მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 34.0 პროცენტია. მეორე ადგილზეა დამამუშავებელი მრეწველობის სექტორი 38.4 მლნ აშშ დოლარით, ხოლო მესამეზე – სასტუმროების და რესტორნების სექტორი 28.1 მლნ აშშ დოლარით.

ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით, ინვესტიციების შემცირება ქვეყნის ეკონომიკის სექტორების მნიშვნელოვან ნაწილში შეიმჩნევა. ცალკეული მიმართულებების მიხედვით არსებული ვითარება ასეთია:

**ენერგეტიკა – 63.7 მილიონი დოლარი, კლება წინა წელთან 37%;**

**მშენებლობა – 4.2 მილიონი დოლარი, კლება წინა წელთან 91%;**

**ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა – 19.8 მილიონი დოლარი, კლება წინა წელთან 73%;**

**სამთომოპოვებითი მრეწველობა – 15.4მილიონი დოლარი, კლება წინა წელთან 7%;**

**უძრავი ქონება – 22.8მილიონი დოლარი, კლება წინა წელთან 63%;**

ეკონომიკის მინისტრმა **ნათია თურნავამ** კვარტალში საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მკვეთრ შემცირებაზე კომენტარი გააკეთა და უკმაყოფილო სულაც არ ჩანდა.

**„სტაბილურად იზრდება ქართული ინვესტიციები და ჩემთვის, როგორც საქართველოს ეკონომიკის მინისტრისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ქართველმა ინვესტორმა, ქართველმა მეწარმემ (მიუხედავად პოლიტიკური არასტაბილურობისა), ირწმუნა, რომ საქართველოს ეკონომიკა მიმზიდველია და დებს ფულს საკუთარი ბიზნესების განვითარებაში. პირველ რიგში, ეს არის მნიშვნელოვანი.**

**რა თქმა უნდა, უცხოური ინვესტიციებიც მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნისთვის და ჩვენ განახლებული საინვესტიციო პოლიტიკის წყალობით შევძელით და შევკარით ძალიან მიმზიდველი პორტფელი 2019 წელს. ეს არის 3.5 მილიარდი ლარის ინვესტიცია ენერგეტიკაში, გადამამუშავებელ მრეწველობაში და ეს არის რეალური პროექტები, რომელთა მშენებლობა წელს იწყება ან დაწყებულია და აისახება მომავალი წლის სტატისტიკაში“,** – აღნიშნა მინისტრმა.

ახალ მსხვილ საინვესტიციო პროექტებს შორის თურნავამ „ნამახვანი ჰესი“ გამოყო, რომლის მშენებლობა წლის ბოლომდე დაიწყება, ღირებულება კი, 1 მილიარდ დოლარს შეადგენს. ასევე მნიშვნელოვანი პროექტია ქუთაისში მშენებარე ელექტრომობილების ქარხანაც.

არსებული სტატისტიკა გააანალიზეს ეკონომისტებმაც.

პროფესორი **გიორგი ღაღანიძე** ინვესტიციების ნაკადის შემცირებაში საგანგაშოს ვერაფერს ხედავს და მის ზრდას წლის მესამე და მეოთხე კვარტალში ელოდება.

**„უნდა აღინიშნოს, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები არ წარმოადგენს იმ ეკონომიკურ კატეგორიას, რომელიც კვარტალი კვარტალს უნდა შეადარო, რადგან ინვესტიციების ბუნება განსხვავდება საგარეო ვაჭრობისგან, სადაც გარკვეული სასაქონლო ჯგუფებია ჩამოყალიბებული და მათი იმპორტ-ექსპორტი ყოველ წელს ერთსა და იმავე დროს ხდება. რა თქმა უნდა, კარგი და სასიამოვნო აქ არაფერია, მაგრამ ეს კატასტროფული მაჩვენებელი არ არის. თუ ჩვენი ქვეყნის პრაქტიკას გადავხედავთ, როგორც წესი, ყველაზე მეტი ინვესტიცია მესამე და მეოთხე კვარტალში შემოდის“,** – აღნიშნა გიორგი ღაღანიძემ.

თუმცა, თსუ-ს პროფესორი თვლის, რომ ინვესტიციების ნაკადის შემცირება გარკვეულ ხარვეზებზეც მიუთითებს, საიდანაც ყველაზე მნიშვნელოვანია თანამედროვე ინდუსტრიული პოლიტიკის უქონლობა, რომელმაც ქვეყნის კონკურენტული უპირატესობა უნდა განსაზღვროს.

საფინანსო საკითხების ექსპერტი **გიორგი ცუცქირიძეც** ეთანხმება მოსაზრებას, რომ წლის ბოლოსკენ უცხოური კაპიტალდაბანდების ოდენობა მოიმატებს.

**„ინვესტორების მიერ ვალდებულებების დაფარვა გარკვეულწილად ამცირებს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მაჩვენებელს. ბუნებრივია, სახელმწიფოს არ შეუძლია შეზღუდოს უცხოელი ინვესტორების მხრიდან ვალდებულებების შემცირების პროცესი. მისი ამოცანა ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობაა.**

**შესაბამისად, თუ პირდაპირი უცხოურ ინვესტიციებს შემომავალი ნაკადებით შევაფასებთ, იგი მკვეთრადაა გაზრდილი. ეს მაჩვენებელი 2019 წლის ორ კვარტალშიც მაღალია და დაახლოებით მილიარდ 300 მილიონი დოლარია, რაც ბოლო წლების ერთ-ერთი საუკეთესო მაჩვენებელია. ეს მიუთითებს იმაზე, რომ ქვეყანა საინვესტიციოდ ძალიან მიმზიდველია და აქტიურად მიმდინარეობს ინვესტირება სხვადასხვა სფეროში.**

**საბოლოო ჯამში, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ახალი მთავრობის დამტკიცებით და გიორგი გახარიას მიერ წარმოდგენილ შედეგზე ორიენტირებული სამთავრობო პროგრამის განხორციელებით, წლის ბოლოსთვის, ტენდენცია უკეთესობისკენ შეიცვლება და მაღალი იქნება როგორც შემომავალი ნაკადების, ასევე პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მაჩვენებელი“,** – განაცხადა ცუცქირიძემ.

**ბექა დანელია**

# ქართულმა თაფლმა კანადელები დაატკბო

**გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ორგანიზებით, კანადაში, კვებეკის პროვინციის ქალაქ მონრეალში გამართულ უმსხვილეს საერთაშორისო გამოფენაზე Apimondia 2019 ქართული თაფლის მწარმოებლებს წელს პირველად მიეცათ შესაძლებლობა, საკუთარი პროდუქცია წარმოედგინათ და 80-მდე ქვეყნის დელეგაციის წარმომადგენლებისა და ვიზიტორებისთვის გაეცნოთ.**

წელს, კანადაში გამართულ 46-ე გამოფენის ძირითად თემად მეფუტკრეობის როლი სოფლის მეურნეობის განვითარებაში განისაზღვრა. გამოფენა Apimondia 2019 მეფუტკრეობის დარგში უახლესი ტექნოლოგიების მიღწევებს ეძღვნება, სადაც მწარმოებლებს საშუალება ეძლევათ, სამეცნიერო მიმართულების ცოდნა და გამოცდილება გააზიარონ.




**„დასავლეთ საქართველოს მეფუტკრეთა ალიანსის“, „ქართული ტრადიციული მეღვინეობის“, „ნენას“ და „Mercy Corps“-ის მიერ წარმოდგენილმა თაფლის ნიმუშებმა დარგის სპეციალისტებისა და გამოფენის სტუმრების მაღალი შეფასება დაიმსახურეს. გამოფენის ფარგლებში, მონრეალში მეფუტკრეობის საერთაშორისო კონგრესი და სიმპოზიუმი გაიმართა, რომელსაც საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე ხატია წილოსანი დაესწრო.**

**სიმპოზიუმზე 7 თემატური ჯგუფი შეიქმნა; ეს ჯგუფებია: დაავადებასთან ბრძოლა; კლიმატის ცვლილებების შედეგად წარმოშობილი ახალი რეალობა; ხარისხის საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისი სიახლეები; სოფლის განვითარებაში მეფუტკრეობის როლი; მედიცინაში ფუტკრის და მისგან ნაწარმოები პროდუქტების მნიშვნელობა; ფუტკრის გენეტიკური გაუმჯობესება; პესტიციდების გავლენა ფუტკარზე.**

მონრეალში გამართულ ღონისძიებებს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე ხატია წილოსანი, კანადაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი კონსტანტინე ქავთარაძე, ასევე, ქართული თაფლის მწარმოებელი კომპანიების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.




## ქართული წარმოების საბავშვო ტანსაცმელი საფრანგეთში გაიყიდება

**სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ მხარდაჭერით, ერთ-ერთმა ქართულმა კომპანიამ „რკო“ საკუთარი პროდუქცია საფრანგეთში ექსპორტზე გაიტანა.**

სააგენტოს ინფორმაციით, ფრანგული კომპანია ქართული პროდუქციით საერთაშორისო გამოფენაზე – Playtime Paris დაინტერესდა. აღნიშნული გამოფენა 2019 წლის 26-29 იანვარს პარიზში გაიმართა, სადაც სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ მხარდაჭერით ორი ქართული კომპანია „რკო“ და „სპილოუ“ იყო წარმოდგენილი. სააგენტო აღნიშნავს, რომ ბავშვის ტანსაცმლის მწარმოებელმა კომპანიებმა საერთაშორისო გამოფენაში პირველად მიიღეს მონაწილეობა, სადაც მათ კავშირები დაამყარეს პოტენციურ ბიზნესპარტნიორებთან. ამასთანავე, კომპანიის ტანსაცმელი მალე გაიგზავნება ინგლისსა და იტალიაში. პროდუქცია ბუტიკური ტიპის მაღაზიებში განთავსდება.

# უნიათობის გამო ხელიდან გავუშვით დიდებული შესაძლებლობა!



**შორეულ წარსულში, 1985 წლის იანვრის ბოლოს, მოსკოვში საერთაშორისო ფორუმი ჩატარდა კულტურის ძეგლთა რესტავრაციის საკითხებზე. იუნესკოს ეგიდით. მაშინ თბილისის მე-18 სამშენებლო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის დირექტორად ვმუშაობდი და კულტურის ძეგლთა რესტავრაციის საკმაო გამოცდილება მქონდა (შიომღვიმე, „ყვავის ტაძარი“ საგურამოში...). ამდენად საქართველოს დელეგაციაში მეც მოვხვდი. ის კი არა, იქ მოხსენებით გამოსვლაც მომიხდა. მსმენელთ გავაცანი ჩვენი სასწავლებლის გამოცდილება ისტორიულ ძეგლებზე შესრულებულ მრავალფეროვან სარესტავრაციო სამუშაოებში.**

ESCUELAS TALLER,
CASAS DE OFICIOS Y
TALLERES DE EMPLEO

ფორუმის მონაწილე უცხოელმა სპეციალისტებმა დიდი ინტერესი გამოიჩინეს ქართული ძეგლების ირგვლივ ჩვენს მიერ წარდგენილ მასალებზე.

პირველივე დიდ შესვენებაზე თარჯიმანმა მითხრა, რომ იუნესკოს ხელმძღვანელებს სურდათ ჩემთან გასაუბრება. მათ მრავალ კითხვაზე მომიხდა პასუხის გაცემა. იუნესკოს გენერალური დირექტორის ფედერიკო მაიორის კითხვაზე – სასწავლო დაწესებულების ხელმძღვანელი როგორ ასწრებ დღის განმავლობაში ორ ფრონტზე წარმატებით ბრძოლასო, მათი ერთობ თბილი ურთიერთობით გათამამებულმა ესპანურად ვუპასუხე (ერთხანს კუბაზე ვმუშაობდი და ენა იქ გავიტეხე), როგორც სერვანტესი გვმოძღვრავს, ვდგები მზესთან ერთად-მეთქი.

ჩვენი საუბრები მეორე-მესამე დღესაც გაგრძელდა. აინტერესებდათ ყველაფერი საქართველოს შესახებ, განსაკუთრებით – იბერებისა და კოლხების ირგვლივ ისტორიული მასალები. ბოლოს იუნესკოს გენერალურმა დირექტორმა ფედერიკო მაიორმა იუნესკოს გენერალურ მდივანს ნიკოლას დადეშქელიანი-ორბელიანს უთხრა, აშკარაა, თქვენი შემოთავაზებული პროექტი უნდა განხორციელდესო.

ჩემთვის მაშინ სხვა არაფერი უთქვამთ, წლების შემდეგ მივხვდი, რა პროექტზე იყო საუბარი.

1995 წელს, როდესაც საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო მრჩევლად (1995-1996 წ.წ.) ვმუშაობდი, მივიღეთ იუნესკოს დიდი წერილი პროექტით „იბერია“, რომელიც მე დამეწერა.

საკითხი ეხებოდა პროფესიული განათლების მოდელის შექმნას საქართველოში, რომელიც ეკვივალენტური იყო ესპანეთში დაწყებული Escuelas-Taller-ის მოდელისა. პროექტს „იბერია“ ერქვა, რადგანაც ძველი საქართველო იბერიად იწოდებოდა.

უმალ გამახსენდა მოსკოვის 1985 წლის შეხვედრები იუნესკოს ხელმძღვანელობასთან, ნიკოლას დადეშქელიანი-ორბელიანის თავგამოდება, რამეთი გამოდგომოდა ისტორიულ სამშობლოს... ბატონებმა ფედერიკო მაიორმა და ნიკოლას დადეშქელიანი-ორბელიანმა ჩანაფიქრი აღასრულეს და ახლა სიტყვა ჩვენზე იყო.

მაგრამ მანამდე ის, თუ რას წარმოადგენდა ეს პროექტი.

პროგრამა ითვალისწინებდა მხარეებს შორის თანამშრომლობას: დელეგაციების გაცვლას ადგილებზე ორგანიზაციული საკითხების, ფუნქციური თავისებურებების შესასწავლად და პრაქტიკაში გამოსავლენად. ესპანეთის დელეგაციის საქართველოში სტუმრობას სასწავლებლის დაფუძნების შესაძლებლობის შესასწავლად; მხარეებს შორის კოოპერაციის პროექტის შეთანხმებას, ქართველი მასწავლებლებისა და მოსწავლეების სტაჟირებას ესპანეთში, მხარეებს შორის მრავალწლიანი ხელშეკრულების გაფორმებას.

პროექტში გამოთქმული იყო რწმენა, რომ საქართველოს სწრაფად შეუძლია „ET“-ის განვითარება, მისთვის „იბერია“ იქნება მამოძრავებელი ძალა ეკონომიკური, სოციალური და კულტურული აღორძინებისა. „იუნესკო“ მზადყოფნას გამოთქვამდა, მხარში ამოდგომოდა საქართველოს მდიდარი კულტურული მემკვიდრეობის წარმოჩენაში მსოფლიოს მასშტაბით.

„ET“-ის საქართველოში განვითარება ესპანეთისთვის შეიძლება ქცეულიყო სტრატეგიულად მომგებიანი კულტურული, ეკონომიკური და კომერციული თვალსაზრისით. იგი ინდუსტრიის განვითარების ხელსაყრელ პირობას ქმნიდა, რითიც ისარგებლებდა ესპანეთიც.

თუ საქართველოს მთავრობა დაინტერესდებოდა, შეიძლება გადაწყვეტილიყო: ქართველი ახალგაზრდების ესპანეთში სასწავლებლად გაგზავნა, ევროკავშირის სტიპენდიების დანიშვნა და საქართველოში სათანადო ინსტიტუტის შექმნა მთავრობის პროტექტორატით.

„ET“-ის დაფინანსებას კისრულობდნენ ევროკავშირი, იუნესკო, ესპანეთის მთავრობა – ესპანეთის სოცუზრუნველყოფისა და შრომის სამინისტროები, კერძო სპონსორები. ფინანსირება მოიცავდა სტუდენტებსა და უმუშევრებს (მუშებიდან ინჟინრებამდე), სწავლის დამთავრების შემდეგ ახალგაზრდები მიიღებდნენ ევროსაზოგადოების მიერ აღიარებულ დიპლომებს.

ასეთი იყო ესპანეთიდან მიღებული პროექტი. ბუნებრივია, მასზე მე, როგორც პრეზიდენტის მრჩეველმა, სასწრაფოდ მოვამზადე დასკვნა, რომ პროექტი „იბერია“ მთლიანად შეესაბამებოდა საქართველოს რესპუბლიკის ინტერესებს, მისი განხორციელების შემოთავაზებული ეტაპობრივი გეგმა კარგად გააზრებული და მისაღებია. საქართველოსთვის ფრიად მნიშვნელოვანია, გახდეს ქვეყანა-ლაბორატორია იუნესკოს მოღვაწეობის არეალის აღმოსავლეთის ქვეყნებში გავრცელებისთვის, რომ ეს ხელს შეუწყობს აზიის სახელმწიფოებთან საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობების განვითარებას.

მაგრამ ჩემი რამდენიმე შეხსენების მიუხედავად, ქართული მხარის ინერტულობისა და უნიათობის გამო, პროექტი ჩავარდა, ანუ ჩაიკარგა პრეზიდენტის კანცელარიის არქივში.

2017 წლის დასაწყისში საქართველოს მთავრობის მეთაურისა და საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ესპანეთის მეფესთან და იუნესკოს გენერალურ დირექტორთან შეხვედრის შემდეგ, ჩვენი საგარეო საქმეთა მინისტრის თანაშემწეს ტელეფონით საუბრისას ვუთხარი, რომ მაქვს საინტერესო მასალა, რომელიც იმ შეხვედრაზე გაჟღერებული საკითხების განხორციელებას ხელს შეუწყობდა და ვითხოვდი მინისტრთან შეხვედრას.

რამდენიმე დღის შემდეგ მინისტრის თანაშემწემ მიპასუხა... შეფი ძლიერ დაკავებულია და ვერ მიგიღებსო (?!)

ასე დაიკარგა ქვეყნის საერთაშორისო ასპარეზზე გამოჩენის ერთი კარგი შესაძლებლობა!

რატომღაც ღრმად მწამს, პროექტი „იბერია“ რომ განხორციელებულიყო, რუსეთი თავს შეიკავებდა საქართველოზე თავდასხმისგან 2008 წელს, რადგან მისი ტანკების ჩვენს ქვეყანაში შემოსვლა საერთაშორისო ორგანიზაციებზე დარტყმაც იქნებოდა და მთელი მსოფლიო აღუდგებოდა აგრესორს. ასე გავუშვით ხელიდან მშვენიერი შანსი, ყოველ შემთხვევაში რამდენიმე ასეული ქართველი მოქალაქე ნამდვილად ბედს ეწეოდა.

**ნოდარ კუჭავა**

# ფერეიდნელთა იმედი და წუხილი



**სამი ფერეიდნელი ქართველი საქართველოსკენ 31 დღის განმავლობაში ფეხით მოდიოდა. მათ 1600 კილომეტრი გამოიარეს და 10 სექტემბერს საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარი წითელ ხიდთან გადმოკვეთეს. სამივე ალპინისტია და ირანში სამაშველო ოპერაციებში მონაწილეობენ ხოლმე. ერთ-ერთი მათგანი, ისმაილ დავითაშვილი, ამბობს, რომ საქართველოში ჩამოსვლამდე წინასწარი ორკვირიანი მომზადება გაიარეს.**

ისმაილ დავითაშვილი, ომიდ გუგუნიშვილი და შაჰრამ ონიკაძე ირანის ისტორიული ქალაქიდან, ისპაჰანიდან, 100 კილომეტრში მდებარე ფერეიდნის პროვინციიდან არიან. სამივე იქაურ მარტყოფში ცხოვრობს, რომელსაც სოფელს ვერ უწოდებ, რადგან შედარებით დიდი დასახლებული პუნქტია. შაჰრამ ონიკაძეს, რომელიც საქართველოს მოქალაქეცაა, ირანში მცირე ბიზნესი აქვს, მის ცოლსა და ორ შვილს კი საქართველოს მოქალაქეობას არ აძლევენ. საქართველოში სხვა დროსაც არაერთხელ ყოფილა ომიდ გუგუნიშვილიც. მოქალაქეობის მისაღებად საქართველოს იუსტიციის სამინისტროში განცხადებაც შეიტანა, მაგრამ უარი მიიღო. ემოციურად მიმართა ომიდ გუგუნიშვილმა ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტის თანამშრომლებს, რომლებიც წითელ ხიდთან დახვდნენ. ფერეიდნელ ქართველებს სწორედ ეს უნივერსიტეტი მასპინძლობს. 10 სექტემბერს ისინი რუსთავის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში ადგილობრივი საზოგადოების წარმომადგენლებს შეხვდნენ. საკმაოდ ემოციურ შეხვედრაზე სტუმრებმა თავიანთ ყოფაზე, ისტორიულ მეხსიერებასა და შენარჩუნებულ ეროვნულ იდენტობაზე ილაპარაკეს.

შაჰრამ ონიკაძემ რუსთაველებს ირანში მცხოვრები თანამემამულეების გულისტკივილიც გაუზიარა. მისი თქმით, ფერეიდნელებს საქართველოს ხელისუფლებისგან არც შემწეობის მიღება სურთ და არც სახლების აშენება. მათ საქართველოში დაბრუნება და მოქალაქეობის მიღება უნდათ. ბევრიც საკუთარ ბიზნესს ისტორიულ სამშობლოში გადმოიტანს.



პროფესორმა ტარიელ ფუტკარაძემ, რომელიც ირანელი ქართველების ისტორიის სპეციალისტია და ფერეიდანში ხშირად ჩადის, შეხვედრაზე თქვა, რომ ხელისუფლება უსაფუძვლოდ ფრთხილობს, როცა ირანელ ქართველებს მოქალაქეობას არ აძლევს.

ტარიელ ფუტკარაძის თქმით, ირანში მცხოვრები 400 ათასი ეთნიკური ქართველიდან ეროვნული იდენტობა, დაახლოებით, 60 ათასმა შეინარჩუნა და თუ საქართველოში არ გადმოსახლდებიან, ირანში მათი სრული ასიმილაცია მოხდება: **„შუა ირანში ქართველობა დღემდე იმიტომ გადარჩა, რომ არ არსებობდა ის საგანმანათლებლო სისტემა, ასევე საკომუნიკაციო ველი, რომელიც ახლა მსოფლიოში არსებობს. იქაური (ირანის) ტელევიზია, სახელმწიფო ენის ზეწოლა ძალიან ძლიერდება, როგორც ყველა დიდ სახელმწიფოში, ამიტომ საფრთხე ელის (ფერეიდნელთა) ქართულ ენასაც, ქართულ სამყაროს, რაც აქამდე შემორჩა“.**

ფერეიდნელები საქართველოში 22 სექტემბრამდე დარჩებიან, ქვეყნის სხვადასხვა კუთხეს მოივლიან და ადგილობრივ საზოგადოებას შეხვდებიან.

**დავით მჭედლიძე**

**1953 წლის ამნისტია, რომელსაც ბერიას ამნისტიას უწოდებენ და რომლითაც 1,2 მილიონი ადამიანი გათავისუფლდა, საკმაოდ კარგად არის აღწერილი და შესწავლილი როგორც „სტალინისშემდგომი ჰუმანიზმის ზეიმი“.**

**შედარებით ნაკლებად ცნობილია ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების 10 წლისთავისადმი მიძღვნილი 1955 წლის ამნისტია — მან ძირითადად თავისუფლება მოუტანა კოლაბორაციონალისტებს და ფაშისტური საოკუპაციო რეჟიმის მსახურთ და ისტორიულ ლიტერატურაში თითქმის არაფერს ამბობენ ბერიას პირველ ამნისტიაზე 1939-1940 წლებში.**

**მიჩუმათების მიზეზი უმალ შეიძლება იგუმანო: არ სურთ ბერიას წარმოჩენა დადებითი კუთხით. ლავრენტი პავლოვიჩი ოფიციალურად (და არაოფიციალურად) ისტორიოგრაფიაში მყარად დამკვიდრებულია როგორც „სტალინური ეპოქის მთავარი ბოროტება“. იმ დროის თითქმის ყველა რეპრესიას მას აწერენ. არადა, თუ ფაქტებს დავთვლით, იგი მხოლოდ 6 წელი (1939-დან 1945 წლამდე) ხელმძღვანელობდა რეპრესიულ ორგანოებს, დროის ამ მონაკვეთისთვის შეიძლება სრულად აგოს პასუხი, ოღონდ ყველა რეპრესია და უკანონობა, რომლებიც მანამდე და შემდეგ მოხდა, სხვათა სინდისზეა (იაგოდას, ეჟოვის, აბაკუმოვის...).**



# 1940 წლის ცივი ზაფხული

**1938 წლის** 22 აგვისტოს ლავრენტი ბერია სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის ნიკოლაი ეჟოვის პირველ მოადგილედ დანიშნეს. ბერიასთან ერთად კიდევ ერთი პირველი მოადგილედ რჩებოდა (1937 წლის 15 აპრილიდან) ფრინოვსკი, რომლის „სამოქმედო უბანიც“ შს კომისარიატის პირველი სამმართველო იყო. 1938 წლის 8 სექტემბერს ფრინოვსკი სსრკ სამხედრო-საზღვაო ფლოტის სახკომად დაინიშნა და შინსახკომის პირველი მოადგილის და პირველი სამმართველოს უფროსის თანამდებობები დატოვა. იმავე დღეს სამმართველოს უფროსის თანამდებობაზე იგი ბერიამ შეცვალა. 1938 წლის 11 სექტემბერს ლავრენტი პავლოვიჩს სახელმწიფო უშიშროების პირველი რანგის კომისრის წოდება მიენიჭა. 1938 წლის 29 სექტემბერს ის სათავეში უდგება შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სტრუქტურაში აღდგენილ სახელმწიფო უშიშროების მთავარ სამმართველოს (ლიკვიდირებული იყო სკპ(ბ) ცკ-ის 1938 წლის 20 მარტის გადაწყვეტილების შესაბამისად). შემდეგ 1938 წლის 23 სექტემბერს, სახელმწიფო უშიშროების მთავარი სამმართველო (ГУГБ) ხელახლა შეიქმნა, 1938 წლის 17 დეკემბერს ამ პოსტზე ბერიას შეცვლის მერკულოვი — 1938 წლის 16 დეკემბრიდან შინსახკომის პირველი მოადგილე. 23 ნოემბერს, შსსკ-ის ივანოვსკის ოლქის სამმართველოს უფროსის ჟურავლიოვის მიერ შეტანილი დასმენის შემდეგ, ეჟოვმა პოლიტბიუროს და პირადად სტალინს მიმართა თხოვნით გადადგომის შესახებ და უკვე 1938 წლის 25 ნოემბერს ბერია შინაგან საქმეთა სახალხო კომისრად დაინიშნა. 1938 წლის 9 დეკემბერს „პრავდაში“ და „იზვესტიაში“ გამოქვეყნდა შემდეგი ცნობა: „ამხანაგი ნ.ი. ეჟოვი, მისი თხოვნის შესაბამისად, გათავისუფლდა შინაგან საქმეთა სახკომის თანამდებობიდან, წყლის ტრანსპორტის სახალხო კომისრად მისი დატოვებით“. 1939 წლის 10 აპრილს ეჟოვი დააპატიმრეს შპიონაჟში, ტერორიზმსა და შეთქმულებაში ბრალდებით.

**შსსკ-ის შეფის პოსტზე ბერიას პირველი ღონისძიება იყო 1939 წლის 1 იანვრიდან „საჩივრების მიღებისა და განხილვის ბიუროს“ გახსნა. სწორედ ეს თარიღი შეიძლება მივიჩნიოთ ადრინდელი ხელმძღვანელობის მიერ დაგროვილი აურაცხელი სისხლის სამართლის საქმის გადახედვის და „კანონიერების შემლახველი“ ჩეკისტების გამოვლენის დაწყების თარიღად.**

ეს არ იყო იოლი საქმე. ეჟოვმა შეასრულა მთავარი როლი ლენინური გვარდიის პოლიტიკური და ფიზიკური განადგურების საქმეში. მის დროს მოაშთეს სკპ(ბ) ცკ-ის პოლიტბიუროს ყოფილი წევრები იან რუძუტაკი, სტანისლავ კოსიორი, ვლას ჩუბარი, პავლე პოსტიშევი, რობერტ ეიხე, გაიმართა რამდენიმე ხმაურიანი სასამართლო პროცესი, რომლებიც სიკვდილის განაჩენებით დამთავრდა. განსაკუთრებით II მოსკოვის პროცესი (1937 წ. იანვარი), სამხედროების საქმე (1937 წ. ივნისი) და III მოსკოვის პროცესი (1938 წლის მარტი).

**აღსანიშნავია, რომ მრავალი უბრალო ადამიანი ტერორში ხედავდა „გათავხედებულ“ და კორუმპირებულ ხელმძღვანელობაზე დარტყმას და ტერორს იყენებდა პირადი მიზნებით: 1937 და 1938 წლებში ასიათასობით მოქალაქემ დაწერა დასმენა თავის თანამშრომლებზე, მეზობლებზე, უფროსებზე, ნაცნობებზე.**



სერგეი დოვლათოვს აქვს ასეთი სტრიქონები: **„ჩვენ უსასრულოდ ვწყევლით ამხანაგ სტალინს, მისი საქმეებისთვის და მაინც მინდა, ვიკითხო: ვინ დაწერა ოთხი მილიონი დასმენა? (ეს ციფრი ფიგურირებდა დახურულ პარტიულ დოკუმენტებში — ა.ა.). ძერჟინსკიმ, ეჟოვმა, აბაკუმოვმა, იაგოდასთან ერთად? არაფერი ამის მსგავსი! ისინი დაწერეს უბრალო საბჭოთა ადამიანებმა: ნიშნავს ეს იმას, რომ რუსები — დამსმენთა და გამცემთა ერია? არავითარ შემთხვევაში, უბრალოდ ამას თავისი ხელი დაატყო ისტორიული მომენტის ტენდენციამ!“**

მუშაობის პირველ თვეებში ლავრენტი პავლოვიჩმა მთლიანად გადახედა სისხლის სამართლის საქმეთა წარმოების წესს. „საމეულებით“ გასამართლებულთ ახლა შეეძლოთ, საჩივარი დაეწერათ, რომლებიც 20 დღის მანძილზე უნდა განხილულიყო. „განსაკუთრებული სათათბიროს“ სამდივნოსთან განცხადებებისა და საჩივრების განსახილველად შეიქმნა სპეციალური განყოფილება 15-კაციანი შტატით. სასამართლოში ჯგუფურ საქმეთა მსვლელობისას აუცილებელი გახდა მისი ყველა მონაწილის დაკითხვა. ათჯერ შემცირდა მოსამართლეთა მიერ საქმეთა განხილვა: თუ ეჟოვის დროს მოსამართლე დღეში 200-300 საქმეს „შტამპავდა“ (ფაქტობრივად, უბრალოდ კითხულობდა განაჩენს, მოწმეთა დაკითხვისა და საქმის განხილვის გარეშე), ბერიას დროს ნორმად იქცა ერთ სამუშაო დღეში არაუმეტეს 10 საქმის განხილვა. **1939 წლიდან დაწყებული პოლიტიკურმა საქმეებმა შესამჩნევად იკლო — დიდი ტერორის ეპოქა დასრულდა.**

**1939 წლისთვის კონტრრევოლუციურ დანაშაულთა ბრალდებით სასჯელის უმაღლესი ზომა მიესაჯა 2600 ადამიანს, 1940 წლისთვის 1600-ს (შესადარებლად: 1937-1938 წლებში დაიხვრიტა 680 ათასი ადამიანი). ამასთან უნდა ვიცოდეთ, რომ დახვრეტილთა ამ რიცხვში იყვნენ ნამდვილი დივერსანტებიცა და ჯაშუშებიც, ძირითადად სსრ კავშირში ახლად შემომატებული დასავლეთის ტერიტორიებიდან (ბალტიისპირეთი, ბუკოვინა, მოლდავეთი, დასავლეთ უკრაინა).**

ეჟოვის კადრებისგან ბერიასეული „წმენდის“ მაგალითები ერთ კვირაში: 1939 წლის 31 იანვარს ბერია ხელს აწერს ბრძანებას შსსკ მოსკოვ-კიევის რკინიგზის საგზაო-სატრანსპორტო განყოფილების 13 თანამშრომლის სასამართლოსთვის გადაცემის შესახებ დაუსაბუთებელი დაპატიმრებებისთვის; 1939 წლის 3 თებერვალს ბერიას ბრძანებით სამართალში მიეცა შსსკ რაიონული განყოფილების უფროსი სახარჩუკი გამოძიების დანაშაულებრივი მეთოდებით წარმართვისთვის; 5 თებერვალს ბერიას ბრძანებით დააპატიმრეს ბალტიის ფლოტის საგანგებო განყოფილების თანამშრომელთა ჯგუფი დაუსაბუთებელი დაპატიმრებებისთვის. ასეთი პროცესები უწყვეტი იყო მთელი 1939 წლის განმავლობაში.

იმავდროულად ოპერატიულ-ჩეკისტურ სამუშაოზე მიიღეს 14506 ადამიანი, მათგან 11062 — პარტიულ-კომკავშირული საგზურებით. ფაქტობრივად, შსსკ-ს შემადგენლობის მესამედი შეადგინა ყოფილმა სამოქალაქო პირებმა, ძირითადად უმაღლესი სასწავლებლების კურსდამთავრებულმა ახალგაზრდებმა. საერთო რიცხვიდან უმაღლესი განათლების მქონე იყო 35 პროცენტი (ეჟოვის დროს — სულ 10 პროცენტი), ხოლო საშუალო განათლების არმქონეთა წილი 42 პროცენტიდან 18 პროცენტამდე დაეცა.



შინსახკომმა კიდევ ერთი შევსება მიიღო არმიიდან. 1939 წლის 27 იანვარს თავდაცვის სახალხო კომისრის მოადგილემ, II რანგის არმიის კომისარმა შჩადენკომ გამოსცა ბრძანება „სამხედრო აკადემიების გამოსაშვები და უმცროსი კურსების მსმენელთა ნაწილის ვადამდელი გამოშვების და შსსკ-ის განკარგულებაში გაგზავნის შესახებ“. მოვლენებს წინ გავუსწრებ და ვიტყვი, რომ პირველები, ვისი საქმეების გადახედვაც დაიწყეს ბერიას დროს, იყვნენ წითელი არმიის ოფიცრები. 1937-1938 წლებში არმიიდან პოლიტიკური მოტივებით გაათავისუფლეს 30 ათასი კაცი (გაასამართლეს 10 ათასამდე მათგანი). **შსსკ-ს ხელმძღვანელობის შეცვლის შემდეგ მწყობრს დაუბრუნდა 12500 ოფიცერი.**

დამახასიათებელია, რომ ეს „გარდაქმნა“ ენდო არა პროკურატურას, არა სასამართლოს, არამედ შინსახკომს ბერიას ხელმძღვანელობით. მოხდა ციხის ლიბერალიზაციაც: სამართალში მიცემულთ უფლება ეძლეოდათ საკნებში წიგნების და სამაგიდო სათამაშოების გამოყენებისა, დაწესდა ნათესავებთან პაემნები და ამანათების მიღება-გამოყენება.

ბერიას ეკუთვნის „შარაშკების“ ციხე-კოლონიებთან თავდაცვითი სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებების შექმნა, რომლებშიც თავმოყრილი იყვნენ სამეცნიერო გამოგონებისთვის საჭირო პატიმრები შედარებით რბილ პირობებში.

**იმავდროულად დაიწყო საქმეების გადახედვა, დაიწყო ის პირველი, ბერიასეული ამნისტია. ცნობილ რუს მკვლევარს, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს ზემსკოვს მოჰყავს ასეთი ციფრები: „სულ 1939 წლისთვის გულაგიდან გაათავისუფლეს 327400 ადამიანი (223600 — ბანაკებიდან და 103800 — კოლონიებიდან). მაგრამ. ეს ციფრები არაფერს ამბობენ, თუ როგორი იყო მათ შორის ვადამდელი გათავისუფლებისა თუ რეაბილიტირებული „ხალხის მტრების“ პროცენტი. ვიცით, რომ 1941 წლის 1 იანვარს კოლიმაზე იმყოფებოდა 34 ათასი ბანაკებიდან გათავისუფლებული, მათგან — 3000 (8,9%) სრულად რეაბილიტირებული.**

**1939 წლის 1 იანვრისთვის პატიმართა საერთო რაოდენობა იყო 1 672 000 კაცი. თუ ზემსკოვის მონაცემს ავიღებთ, მთელი გულაგისთვის საშუალოდ გამოვა რომ ის (გულაგი) ბერიასეული ამნისტიით დატოვა 140 ათასამდე კაცმა. დაახლოებით ასეთ ციფრს (130 ათასიდან 150 ათასამდე) ასახელებენ სხვა მკვლევარებიც. მართალია, მათი უმრავლესობა აზუსტებს, რომ მნიშვნელოვანმა ნაწილმა ვერ მიიღო რეაბილიტირებულის სტატუსი — მათ ან ვადა შეუმცირეს მინიმუმამდე (ერთი-ორი წელი), ან გადაიყვანეს გადასახლებულთა სტატუსში (ანუ შეუმცირეს სასჯელი).**

გაცილებით ბევრად გაუმართლა იმათ, ვინც 1938 წლამდე ვერ მოასწრო განაჩენის მიღება და წინასწარ პატიმრობაში იმყოფებოდა. სპეცსამსახურების ისტორიკოსს ოლეგ მოზოხინს მოჰყავს ზუსტი მონაცემები ამ კატეგორიის მიხედვით. ამრიგად, **1939 წლის 1 იანვრისთვის გამოძიებაში იმყოფებოდა 149426 კაცი. გამოძიების პროცესში საქმის შეწყვეტის გამო გაათავისუფლეს 83 151 კაცი, პროკურატურამ გაათავისუფლა და სასამართლომ გაამართლა 25575 კაცი. სულ 187840 გასამართლებულზე 1939 წელს და 1941 წლის პირველ ნახევარში, მოდის 142432 გათავისუფლებული გამოძიების და სასამართლოს პროცესში. ეს ბერიასეული ამნისტიის ზუსტი ციფრია.**

მოამზადა
ალეკო ასლანიშვილმა

## ტოკაევმა ნაციას მიმართა

# ყაზახეთი უმნიშვნელოვანესი რეფორმების წინ



**ყაზახეთის პრეზიდენტის ყასიმ-ჟომარტ ტოკაევის პირველი მიმართვა საპროგრამო გზავნილით ფრიად დატვირთული და, ამავე დროს, კონკრეტული აღმოჩნდა.**

პრეზიდენტმა ხალხს ამცნო, რომ ქვეყანა სოციალური მოდერნიზაციის ახალ ეტაპზე გადადის. ტოკაევის სტრატეგიის საფუძველია, **„ძლიერი პრეზიდენტი — გავლენიანი პარლამენტი — ანგარიშვალდებული მთავრობა“**. პრეზიდენტი დარწმუნებულია, რომ სწორედ ეს პრინციპი, ეს ფორმულა არის სახელმწიფოს სტაბილობის საფუძველი. ცხოვრების ნებისმიერი სფეროს განვითარებასთან დაკავშირებული საკითხები დამოკიდებულია ამ პრინციპის ურყეობაზე.

ყაზახეთის საზოგადოება ტოკაევის ამ გზავნილს ელოდა. საზოგადოებას სურდა, დაენახა, თუ რამდენად არის ახალი პრეზიდენტი მზად, კონკრეტული სახე მისცეს თავის წინასაარჩევნო დაპირებებს, და ეძებდა პასუხებს კითხვებზე: ნამდვილად შეუძლია ახალ ლიდერს, გააუმჯობესოს მოსახლეობის ცხოვრების ხარისხი, გააძლიეროს ეკონომიკა, გადადგას ნაბიჯები ღია სამოქალაქო საზოგადოებისა და დემოკრატიის მშენებლობისკენ?

თავის პირველ გზავნილში ყაზახეთის ხალხის მიმართ პრეზიდენტი ტოკაევი მკაფიოდ და გასაგებად აყალიბებს ხელისუფლების ყველა შტოს მოღვაწეობის მიმართულებებს უახლოესი ერთი წლის მანძილზე. მან ამოცანები დაუსახა ყოველი სახელმწიფო ორგანოსა და სახელმწიფო კომპანიის ხელმძღვანელებს. პრეზიდენტმა აღნიშნა პირველი პრეზიდენტის ნურსულთან ნაზარბაევის კურსის მემკვიდრეობითობა და თან აქცენტი მუშაობის მსვლელობისას ზოგიერთ მიდგომებში ცვლილებების შეტანის აუცილებლობაზე გააკეთა.

ეჭვს გარეშეა, ყაზახეთის ამჟამინდელი სახელმწიფო მეთაურის მოქმედებების ქვაკუთხედად სოციალური შემადგენელი იქნება. აგვისტოს თვეში, სკოლის პედაგოგების კონფერენციაზე მან უკვე გააჟღერა დავალება, მასწავლებლებს უახლოესი ოთხი წლის მანძილზე გაეზარდოთ ხელფასები, მაგრამ ნაციისადმი მიმართვაში პრეზიდენტმა არსებითად გააფართოვა თავისივე გეგმები პედაგოგის სტატუსთან დაკავშირებით. საუბარია კანონპროექტზე „პედაგოგის სტატუსის შესახებ“, რომელიც მალე იქნება მიღებული. ეს არის კარგი ნიშანი საზოგადოებისათვის, რომ მასწავლებლების შრომა არა მხოლოდ ჯეროვნად უნდა ფასობდეს, არამედ მას მაღალი საზოგადოებრივი სტატუსი უნდა ჰქონდეს. ყაზახეთს აქვს საკმაოდ დიდი ამბიციები, განათლებაზე, მეცნიერებასა და ჯანდაცვაზე გაწეული ხარჯების ზღვარი მშპ-ის 10 პროცენტამდე გაზარდოს. ამ მაჩვენებლებისკენ ქვეყანა ნელა მიდის, მაგრამ საკმაოდ მყარად. აღსანიშნავია, რომ ეროვნული ბანკისა და ეროვნული ფონდის რეზერვები სტაბილურად ინარჩუნებს ყაზახეთის სუვერენულ საკრედიტო რეიტინგს, რაც საშუალებას იძლევა, ვივარაუდოთ, რომ დასახული ამბიციური გეგმები მართლაც იქნება განხორციელებული.

ასევე იმედისმომცემია ტოკაევის სიტყვაში აღნიშნული უზრუნველყოფა სამედიცინო მომსახურების ხარისხისა და ხელმისაწვდომობისა. პრეზიდენტმა დაადასტურა, რომ სახელმწიფო კვლავაც განაგრძობს უფასო სამედიცინო დახმარების გარანტირებული მოცულობის შენარჩუნებას. იგივე ეხება სოციალური მხარდაჭერის განვითარების სისტემას, რომელიც ბოლო სამი წლის მანძილზე 17-ჯერ და მეტად გაიზარდა.

პრეზიდენტს ესმის, რომ ძლიერი და განვითარებადი ეკონომიკის გარეშე სოციალური რეფორმები შეუძლებელია. ამიტომ ყაზახეთის სახელმწიფო მეთაური ქვეყნის განვითარების საფუძველს ეკონომიკური ამოცანების განხორციელებაში ხედავს. მისი აზრით, პრიორიტეტებად უნდა იქცეს ეფექტურობა, მეცნიერულობა, გაციფრულება.

**დიდი იმედები უკავშირდება აგრარულ სექტორს, რომელიც, ტოკაევის მიხედვით, მთელი ეკონომიკის დრაივერი უნდა გახდეს. ამასთან, პრეზიდენტმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები უცხოელებზე არც მომავალში გაიყიდება. ეს განცხადება გაჟღერდა მაშინ, როდესაც ჯერ კიდევ არსებობს მიწის ნაკვეთების არაკეთილსინდისიერი გამოყენების, უფრო ზუსტად კი — არგამოყენების პრობლემა, ზოგიერთი „ლატიფუნდისტის“ მიერ. ამრიგად, ყასიმ-ჟომარტ ტოკაევმა დაიწყო სოფლის მიწების ეფექტური გამოყენების საკითხის აქტიური გადახედვა და თან ზოგიერთ თავის ოპონენტს, რომელიც მას აბრალებდა, თითქოს შეიძლება, დართულ იქნეს ნება უცხოელებისთვის მიწების მისაყიდად, ფეხქვეშ ნიადაგი გამოაცალა.**

მცირე და საშუალო ბიზნესისთვის ძალზე მნიშვნელოვან მომენტად იქცა პრეზიდენტის მიერ ყურადღების გამახვილება კორუფციულ დანაშაულებზე, რადგან ყველაზე მეტად სწორედ კორუფციისგან ზარალდება ბიზნესი და საზოგადოება.

სახელმწიფოსა და საზოგადოების ურთიერთქმედების სფეროში უმთავრესი ადგილი ენიჭება კანონიერებას, სასჯელის გარდაუვალობას, სისხლის სამართლის კოდექსის გამკაცრებას მოძალადეების, განსაკუთრებით კი პედოფილების მიმართ და ა. შ.

ყაზახეთის პრეზიდენტი არ შემოიფარგლა მხოლოდ სოციალურ-ეკონომიკური ინიციატივებით. ტოკაევმა თავის მიმართვაში კვლავ დაადასტურა პოლიტიკური რეფორმების გატარების აუცილებლობა. მან განაცხადა, რომ აუცილებელია, განვითარდეს პოლიტიკური კონკურენცია, მრავალპარტიულობა, საზოგადოებრივი და სამოქალაქო დიალოგი. ამასთან, მან დაავალა შესაბამის სტრუქტურებს, სრულყოფილ იქნეს კანონმდებლობა მიტინგების შესახებ იმგვარად, რომ კონსტიტუციიდან გამომდინარე, მოქალაქეებს ჰქონდეთ საშუალება, თავისუფლად გამოდიოდნენ მშვიდობიან აქციებზე, გამოხატონ საკუთარი აზრი დადგენილი წესის თანახმად.

**ყაზახეთის სახელმწიფო მეთაურის ყველა ეს მოსაზრება მოწმობს, რომ ცენტრალური აზიის უდიდესი სახელმწიფო, მდიდარი ნავთობითა და სხვა ბუნებრივი წიაღისეულით, მყარად აპირებს, უახლოეს ხანებში განახორციელოს ეკონომიკური ნახტომი, მაგრამ ასევე მზად არის საზოგადოების დემოკრატიზაციისკენ თამამი ნაბიჯების გადასადგმელად.**

**გულბაათ რცხილაძე**

## ნეთანიაჰუ არაბულ სამყაროს აჩოქებს?!



ისრაელის პრემიერ-მინისტრმა ბენიამინ ნეთანიაჰუმ ოკუპირებული ტერიტორიების ანექსიის გეგმა წარადგინა. არაბულმა სახელმწიფოებმა, ისრაელის პრემიერ-მინისტრის გეგმა, მოახდინოს ოკუპირებული ნაწილის ანექსია, დაგმეს.

**„დღეს მე ვაცხადებ წინადადებას, ახალი მთავრობის დამტკიცების შემდეგ, ისრაელმა აღადგინოს სუვერენიტეტი იორდანიის ველსა და მკვდარი ზღვის ჩრდილოეთ ნაწილზე“,** — განაცხადა ნეთანიაჰუმ.

ნეთანიაჰუს განცხადებით, ეს არჩევნების შემდეგ მოხდება, როდესაც ისრაელელი ამომრჩეველი შესაბამის მანდატს მიანიჭებს. 1967 წელს ისრაელმა დასავლეთ სანაპიროს ოკუპაცია მოახდინა.

აღსანიშნავია, რომ პალესტინელები მთელ ტერიტორიას ითხოვენ მომავალი დამოუკიდებელი სახელმწიფოსთვის. ნეთანიაჰუს განცხადებით კი ისრაელი ყოველთვის შეინარჩუნებს იორდანიის ველს სამშვიდობო მიზნებისთვის.

## ჩეხეთის პრეზიდენტს კოსოვოს აღიარების გაუქმება სურს

ჩეხეთის პრეზიდენტა მილოშ ზემანმა ეს განცხადება, სერბეთში ოფიციალური ვიზიტისას გააკეთა.

**„მე დიქტატორი არ ვარ და ერთპიროვნულად არ ვიმოქმედებ. რაც შემიძლია გავაკეთო, და უახლოეს თვეებში გავაკეთებ კიდეც, მოვიწვევ შეხვედრას კონსტიტუციონალისტებთან და ვიკითხავ, შეიძლება თუ არა კოსოვოს აღიარების გაუქმება“,** — განაცხადა ჩეხეთის პრეზიდენტმა.

ზემანის თქმით, მას სჯერა, რომ ჩეხეთის თავდაცვის მინისტრი მის ამ ინიციატივას გაიზიარებს. ჩეხეთის საინფორმაციო სააგენტოების ცნობით, საპასუხოდ კოსოვოს მთავრობამ პრაღაში დაგეგმილიშეგრადის ოთხეულისა და დასავლეთ ბალკანეთის სამიტში მონაწილეობაზე უარი თქვა. კოსოვომ დამოუკიდებლობა 2008 წელს გამოაცხადა. მას დამოუკიდბელ სახელმწიფოდ ევროკავშირის 23 წევრი აღიარებს. მათ შორისაა ჩეხეთი.



## რუსეთი ბირთვულ რაკეტებს ცდის

**რუსეთმა საკრუიზო რაკეტა „ბურევესტნიკი“ სულ ცოტა ხუთჯერ გამოსცადა და ყველა გაშვება წარუმატებლად დასრულდა. ამის შესახებ ინფორმაციას CNBC წყაროებზე დაყრდნობით ავრცელებს, რომლებიც ამ საკითხზე აშშ-ის დაზვერვის სამსახურის ანგარიშებს იცნობენ.**

ამერიკის დაზვერვის თანახმად, სატესტო გაშვებები 2017 წლიდან ტარდება. ყველაზე ხანგრძლივი ფრენა 2 წუთზე მეტხანს გაგრძელდა, ყველაზე მოკლე კი 4 წამი.

CNBC-ის წყაროები ასევე ამბობენ, რომ რუსეთი პროექტზე მუშაობის დაჩქარებას გეგმავს, რათა რაკეტები სამხედრო შეიარაღებაში 2025 წლიდან ჩაუშვან. საკრუიზო რაკეტა შეუზღუდავი დიაპაზონის მქონე ინტერკონტინენტური ბირთვული რაკეტაა. ამ რაკეტების გამოცდასთან დაკავშირებით ოფიციალურად, რუსეთის პრეზიდენტმა პირველად 2018 წელს განაცხადა. 1 აგვისტოს ცნობილი გახდა, რომ აშშ „ახლო და საშუალო მანძილზე მოქმედი რაკეტების ლიკვიდაციის შეთანხმებას“ ტოვებს.

საშუალო და ახლო მოქმედების რაკეტების ლიკვიდაციის შეთანხმება სსრკ-ის მაშინდელ პრეზიდენტს მიხეილ გორბაჩოვსა და აშშ-ის მაშინდელ პრეზიდენტს რონალდ რეიგანს შორის 1987 წლის 8 დეკემბერს გაფორმდა. ეს ცივი ომის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან შეთანხმებად მიიჩნევა. მაშინ მოსკოვმა და ვაშინგტონმა უარი თქვა საშუალოდ ახლო მოქმედების ბალისტიკური და საკრუიზო რაკეტების შექმნაზე და არსებულის განადგურებაზე შეთანხმდნენ. ასეთ რაკეტებს მიზნამდე მიღწევა რამდენიმე წუთში შეუძლიათ.

შეთანხმების პრეამბულაში წერია, რომ მხარეებმა ამ დოკუმენტზე ხელმოწერა გადაწყვიტეს, რამეთუ იაზრებენ, რომ „ბირთვულ ომს მთელი კაცობრიობისთვის დამანგრეველი შედეგები ექნება“. შეთანხმება ძალაში ხელმოწერისთანავე შევიდა.

რუსეთმა „ახლო და საშუალო მანძილზე მოქმედი რაკეტების ლიკვიდაციის შესახებ შეთანხმება“ მიმდინარე წლის მარტში დატოვა. შესაბამის ბრძანებას ხელი ქვეყნის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა მოაწერა.

## რუსმა მეცნიერმა თავი დაიწვა

**79 წლის მეცნიერმა ალბერტ რაზინმა იჟევსკში, უდმურტეთის სახელმწიფო საბჭოს შენობასთან ჯერ აქცია გამართა, სადაც უდმურტული ენის შენარჩუნების მოთხოვნით პლაკატით იყო მისული, შემდეგ კი ცეცხლი წაიკიდა.**

მისი გადარჩენა მაშველებმა სცადეს, თუმცა მეცნიერი საავადმყოფოში გარდაიცვალა.

№ 181. პარასკევი, 13 სექტემბერი, 2019 წელი.

# რა უნდა ვიცოდეთ ელ-სიგარეტების მოწევის შესახებ?!

**შეერთებული შტატების ჯანდაცვის ოფიციალური პირები ელექტრონული სიგარეტების მომხმარებლებს აფრთხილებენ, რომ ქვეყანაში თანდათან იზრდება ელ-სიგარეტების მოწევასთან დაკავშირებული რესპირატორული დაავადებების რიცხვი. დაავადებათა კონტროლის და პრევენციის ცენტრი (CDC) 30 აგვისტოს იძულებული გახდა, ოფიციალური განცხადება და გაფრთხილება გაევრცელებინა, რომელშიც ნათქვამია, რომ ისინი იძიებენ ფილტვების დაავადების 215 სერიოზულ შემთხვევას, რომელიც**



**სავარაუდოდ, ამ ე.წ. ვეიპინგის პროცესთან არის დაკავშირებული.**

პაციენტებზე ინფორმაცია სხვადასხვა შტატებიდან თითქმის ერთდროულად, ამ ზაფხულის თვეებში გავრცელდა. დაავადება სიცხით, პირღებინებით, ზოგადი სისუსტით იწყება და ფილტვის ფუნქციების მოშლით გრძელდება. პაციენტები საავადმყოფოს როგორც წესი, სუნთქვის პრობლემებზე ჩივილით მიმართავენ.

ხშირ შემთხვევაში, ექიმებს პაციენტების ხელოვნური სუნთქვის აპარატზე გადაყვანა უწევთ. ისინი აპარატზე ზოგჯერ რამდენიმე კვირის განმავლობაში რჩებიან. ამ ეტაპზე, დაავადებულთა უმეტესობა გამომჯობინდა, მაგრამ რამდენიმე ძალიან მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა. ერთი ადამიანი გარდაიცვალა კიდეც.

ფილტვების ეს რთული დაავადება ჯერ ბოლომდე არ არის შესწავლილი და სპეციალისტებმა ზუსტი გამომწვევი მიზეზი არ იციან. თუმცა, ფაქტია, რომ ჰოსპიტალიზაციის ყველა შემთხვევაში, პაციენტებს აერთიანებს ის, რომ თითოეული მათგანი ელექტრონულ სიგარეტებს ეწეოდა.

დაავადებულთა დიდი უმრავლესობა ახალგაზრდაა, ხშირად თინეიჯერი და სხვა მხრივ — სრულიად ჯანმრთელი. ზოგიერთი მათგანი ისეთ ელ-სიგარეტს ეწეოდა, რომელშიც მარიხუანის შემადგენელი ფსიქოაქტიური ნივთიერება ტეტრაჰიდროკანაბინოლი (THC) იყო გარეული.

### ამერიკის ჯანდაცვის ოფიციალური უწყების რჩევა

აშშ-ის დაავადებათა კონტროლის და პრევენციის ცენტრი აფრთხილებს მომხმარებლებს, არ იყიდონ ელექტრონული სიგარეტების პროდუქტები არალიცენზირებულ უწყებებში. ამასთან, მწეველები უნდა მოერიდონ მასში ისეთი ნივთიერებების დამატებას, როგორიცაა ტეტრაჰიდროკანაბინოლი.

**„დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრის რჩევაა: ვიდრე გამოძიება გრძელდება, ის ამერიკელები, ვინც ელ-სიგარეტს იყენებენ და ამ კონკრეტული, სპეციფიკური, პოტენციური დაავადების რისკით არიან შეშფოთებულები, მოერიდონ მათ გამოყენებას, არ იყიდონ ისინი ქუჩიდან, ან არ ეცადონ მოდიფიცირებას ისეთი ნივთიერებების დამატებით, რომელიც მწარმოებლის მიერ არ არის მიწოდებული“** — ნათქვამია ჯანდაცვის სააგენტოს განცხადებაში.

ელექტრონული სიგარეტები შეერთებულ შტატებში პირველად დაახლოებით 10 წლის წინათ გამოჩნდა. ინდუსტრიას პოპულარობა მალევე მოუტანა იმ ფაქტმა, რომ ელ-სიგარეტი მასზე გაცილებით უფრო მავნე ჩვევის — თამბაქოს მოწევაზე თავის დანებების ეფექტური საშუალებაა.

ელ-სიგარეტის მუშაობის პრინციპი ასეთია: ის ბატარეის მუხტს იყენებს იმისთვის, რომ გააცხელოს აპარატში მოთავსებული თხევადი ნიკოტინის ხსნარი და გადააქციოს ის ორთქლად, რომელსაც ადამიანი შეისუნთქავს. ორთქლი უსუნოა და ჰაერში შესამჩნევ კვალს არ ტოვებს.

ტრადიციულ თამბაქოსთან შედარებით, ელექტროსიგარეტი აქამდე უსაფრთხოდ, ჯერ ერთი, იმიტომ ითვლებოდა, რომ ნაკლებ ნიკოტინს შეიცავს. და მეორე: მის შემადგენლობაში არ არის და შესაბამისად, ადამიანის ორგანიზმში არ ხვდება უამრავი სხვა მავნე ნივთიერება, რომელსაც ადამიანზე მომაკვდინებელი გავლენა შეიძლება ჰქონდეს.

### ადვოკატები და კრიტიკოსები

ამ ახალი ტიპის სიგარეტის ადვოკატების მთავარი არგუმენტი იგივე რჩება. ისინი დაბეჯითებით იმეორებენ, რომ ელექტრონული სიგარეტი ტრადიციული თამბაქოს ზრდასრული მწეველებისთვის, მოწევაზე თავის დანებების ძალიან ეფექტური საშუალებაა.

თუმცა, კრიტიკოსები აცხადებენ, რომ ელ-სიგარეტის გაყიდვა ჯერ არასაკმარისად რეგულირებულია. არ არის ნორმირებული მასში ნიკოტინის შემცველობა და დანამატები, იქნება ეს არომატები თუ სხვა მსუბუქი, თუ ძლიერი ზემოქმედების ნივთიერებები.

ბევრი ელექტრო-სიგარეტებს ნიკოტინის ახალ თაობასაც კი უწოდებს. ოპონენტებს მოზარდებში ელ-სიგარეტების მზარდი პოპულარობის დამადასტურებელი სტატისტიკური მონაცემები მოჰყავთ. ასევე, სახელდება პირველადი კვლევების შედეგები, რომელიც აჩვენებს, რომ ახალი ტიპის სიგარეტებიც იწვევს ადამიანის ორგანიზმში დამოკიდებულების გაჩენას.

ჯერჯერობით უცნობი რჩება ელექტრო-სიგარეტების გრძელვადიანი მოქმედების შედეგი ადამიანის ორგანიზმზე. ასევე უცნობია არომატიზატორების და სხვა სერიოზული დანამატების გავლენა, რომელთა შორის მეტალების ნაკვალევიც იძებნება.

# სამკურნალო პომიდორი



**ახალი პომიდორი, თურმე, უებარი სამკურნალო საშუალება ყოფილა.**

მისი მოხმარებით შეიძლება მზის დამწვრობის მოშუშება, ასევე მწერის ნაკბენისა და მედუზის დასუსხვის დაამება. საამისოდ კი საჭიროა პომიდვრის რგოლებად დაჭრა და მტკივან ადგილზე დადება.

გარდა ამისა, პომიდვრის ნილაბი შესანიშნავად ათეთრებს კანს და სახის ნაოჭების გაშლას ეწყობს ხელს.

# შეიცანით „სწორი“ თაფლი

**ყველას სმენია მაისის თაფლის განსაკუთრებული სარგებლიანობის შესახებ. ის ჩვეულებრივი მხოლოდ ივნისის დამლევს გამოჩნდება და იმის გამო, რომ პირველი ყვავილების ნექტარიდან დამზადებული თაფლი განსაკუთრებული თვისებებით გამოირჩევა, თანაც ცოტაა, ყველაზე მეტად მის ფალსიფიცირების ხერხს მიმართავენ ხოლმე.**



ამიტომაც, გამოცდილი ხალხი გვირჩევს: ეცადეთ, „საკუთარი“ მეფუტკრე გყავდეთ და არა მარტო მაისის, არამედ ყოველი სეზონის თაფლი გამოხდისთანავე მისგან შეიძინოთ.

**გახსოვდეთ**: არსებობს ნებისმიერი გაყალბებული თაფლის ამოცნობის ხერხი. **პირველი:** თაფლი არ უნდა იყოს ზედმეტად თხევადი, უნდა იწელებოდეს, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ ის არ გადაუდნიათ და ძველს ახლად არ ასაღებენ.

**მეორე:** ცხელ წყალში მორევისას ნამდვილი თაფლი კი არ ილექება, ის მთლიანად იხსნება.

**და კიდევ ერთი:** მოერიდეთ ეგრეთ წოდებულ ადგილობრივ „ეგზოტიკურ“ თაფლს, მაგალითად, ჟენშენისა — ასეთი ჯიშის თაფლი ჩვენში ფაქტობრივად, არ არსებობს.

# ისევ ფერით შეარჩიეთ...

**ბანანების სარგებლიანობა მათ ფერზე ყოფილა დამოკიდებული...**

ყველაზე დიდი დიეტური ფასეულობა **მწვანე** ბანანს აქვს. ის კალიუმს უფრო დიდი ოდენობით შეიცავს, რაც წნევის დაწევას ხელს უწყობს. **ყვითელ** ბანანში იდეალურია კალიუმისა და მაგნიუმის თანაფარდობა, რომელიც გულისთვის უმნიშვნელოვანეს მიკროელემენტებს წარმოადგენს. **ყავისფერ** ბანანში კი საკმარისი ოდენობითაა ტრიპტოფანი, რომელიც დეპრესიისა და უძილობის საუკეთესო საშუალებაა.



◎ ყოველდღიური პრევენცია

# თავს გაუფრთხილდით და დიდხანს იცოცხლებთ!

**გულისა და გულ-სისხლძარღვთა დაავადებების გამო, ეგრეთ წოდებულ ბუნებრივ მიზეზთა გამო სიკვდილი მსოფლიოში საშუალოდ 30-50 წამში ერთხელ დგება. ამას, უმეტესწილად, ადამიანები გარდაუვალ უბედურებად აღიქვამენ, არადა, კარდიოლოგთა უმრავლესობა ამ მიზეზით გარდაცვალებას არანაკლებ უაზრობად აფასებენ, ვიდრე სიკვდილს ავტოსაგზაო შემთხვევის დროს.**

სადღეისოდ ბევრი ჩვენგანი ცუდი ეკოლოგიისა და სტრესის მაღალი დონის პირობებში ცხოვრობს, თანაც, ყველაფერ ამასთან ერთად, არასწორადაც იკვებება. ასეთ ვითარებაში ყველაზე სახიფათო ისაა, რომ თუკი **ამ დროს ადამიანი სნეულებათა (ინსულტების, ინფარქტების და გულით უცაბედი სიკვდილის) პროფილაქტიკას არ მიმართავს, სავარაუდოდ, იგი ნაადრევად გარდაიცვლება.**

მაშ, როგორი უნდა იყოს პროფილაქტიკა?

**გარკვეული ასაკიდან (როგორც წესი, 40 წლიდან), ყველა ადამიანმა რეგულარულად უნდა გაიაროს რამდენიმე სახეობის სკრინინგული ტესტი, რომლებიც ყოველ მიზეზგარეშე ტარდება, ხოლო თუ რაღაც მიზეზით ამის გაკეთება შეუძლებელია, მაშინ თქვენ რისკის ფაქტორების თვითდიაგნოსტიკა დაგეხმარებათ,** რომელიც რამდენიმე მარტივი პროცედურისგან შედგება:

1. გაიზომეთ არტერიული წნევა. საფრთხილოა, თუკი დასვენებულ მდგომარეობაში ის ვერცხლისწყლის სინდიყის 140/90-ზე მეტია;

2. **შეამოწმეთ სისხლში ქოლესტერინის დონე.** ის დადგენილი ნორმების ფარგლებში უნდა იყოს;

3. **გაიზომეთ წელის გარშემოწერილობა.** საფრთხილოა, თუკი ქალბატონებს — 98, მამაკაცებს კი — 102 სანტიმეტრზე მეტი აქვთ;



4. **უზომოზე შეამოწმეთ სისხლში შაქრის შემცველობა.** საფრთხილოა თუ ის ლიტრზე 5,5 მმოლზე მეტია;

5. **გაიხსენეთ, ჰქონდა თუ არა თქვენს პირველი ხაზის ნათესავებს ინსულტი ან ინფარქტი.** საფრთხილოა, თუკი ის მამაკაცებს — 55, ქალბატონებს კი 65 წლის ასაკამდე მოუვიდათ;

6. **გადაიღეთ ელექტროკარდიოგრამა და დააკვირდით „QTc“ მაჩვენებელს.** საფრთხილოა, თუკი მისი მნიშვნელობა 450 მილიწამზე მეტია;

7. **დააკვირდით იმას, თუ როგორ გრძნობთ თავს.** საფრთხილოა უგუნებობა, განგაშის შეგრძნება და უძილობა.

ახლა დააკვირდით: რისკის ჯგუფში მოხვდით? ცხადია, ეს ვერაფერი სასიხარულოა, მაგრამ ზედმეტად ნუ იდარდებთ: გახსოვდეთ, რომ რისკის ფაქტორების არსებობას გარდაუვალი სიკვდილი თავისთავად არასდროს მოჰყვება. საფრთხე მაშინ წარმოიშვება, როცა პაციენტმა ამის შესახებ იცის, მაგრამ მდგომარეობის საკორექციოდ არანაირ ზომებს არ იღებს.

თუკი მაღალი რისკის ფაქტორები დაგიდგინდათ, მაშინ ორი გზა გაქვთ: შეცვალოთ ცხოვრების წესი ძირფესვიანად, ანდა მთელი ცხოვრების მანძილზე მიიღოთ ექიმის მიერ დანიშნული წამლები.

გვერდი მოამზადა
ოთარ მერიშვილმა

სუმო

# მეორე ნაბიჯი



**აკი ბაშოს მეხუთე საშეჯიბრო დღეს მეორე გამარჯვება მოიპოვა ლევან გორგაძემ. ტოჩინოშინი მესამე მაეგაშირა ტომოკაძეს დაუპირისპირდა და მისი დამარცხება ჰატაკიკომოს ილეთით მოახერხა.**

ჩვენებური უპირატესობას შეტაკებისთანავე დაეუფლა და მეტოქე რამდენიმე წამში დასცა დოჰიოზე. ქართველი სუმოისტი აღნიშნულ მეტოქეს პირველად შეხვდა და ურთიერთშეხვედრებში ანგარიში თავის სასიკეთოდ გახსნა, თავად ტომოკაძეს კი შემოდგომის სუპერტურნირზე ტოჩის მსგავსად 2 მოგების საპირისპიროდ 3 წაგება აქვს.

შეგახსენებათ, რომ გორგაძეს დადებითი ბალანსის გასანაღდებლად დარჩენილი 10 ორთაბრძოლიდან მინიმუმ 6-ის მოგება მართებს, წინააღმდეგ შემთხვევაში ოძეკის ტიტულს დაკარგავს.

ტოჩის მომდევნო მეტოქე ტამავაში იქნება, რომელსაც აქამდე 28-ჯერ შეხვედრია და ურთიერთშეხვედრებში ჩვენებურის უპირატესობა დიდია: 18 მოგება 10 მარცხის წილ. ტამავაშიმ მიმდინარე ბაშოზე 3 შეხვედრა მოიგო, ხოლო ორში დამარცხდა.

რაც შეეხება სხვა მონაწილეებს: აკი ბაშოს უდანაკარგოდ მხოლოდ ოკინოუმი და ტაკაკეიშო ლიდერობენ, ხოლო. 4:1-ზე ბალანსი კაკურიუს, მიტაკეუმს, იდიურას, გოეიდოს, ენდოს, მიოგირიუს, მეისეის და ენჰოს აქვთ.

**ბეჟან დოლიძე**

რაგბი ჩვენი თამაშია!

# „სიმბოლური“ მათიაშვილი

**„ბორჯღალოსანი“ ფულბეკი სოსო მათიაშვილი ავტორიტეტულმა Ultimaterugby-მ კვირის სიმბოლურ ნაკრებში შეიყვანა.**

**მეორე დონის ქვეყნებიდან ის ერთადერთი წარმომადგენელია. გამოცემა წერს, რომ „მათიაშვილი გამორჩეული იყო შოტლანდიასთან მატჩში. მან ერთ-ერთ ეპიზოდში 11 მცველი ჩამოიცილა და ბურთით ხელში 80-ზე მეტი მეტრი გაიარა“.**



სიმბოლურშია აგრეთვე ჩვენი მეტოქის მგეზავი ადამ ჰეისთინგსი. სულ მასში 3-3 ინგლისელი, ახალზელანდიელი და ირლანდიელი, ორ-ორი სამხრეთაფრიკელი და ავსტრალიელი და თითო-თითო ქართველი და შოტლანდიელი მოხვდნენ.

მათიაშვილს „ბორჯღალოსანთა“ კვართით 19-ჯერ უთამაშია და მის ანგარიშზე 135 ქულაა.

**კობა კობახიძე**

კალათბურთი

# მართლაც, ვინ წარმოიდგენდა?..



**დღეს ჩინეთში მიმდინარე მსოფლიოს საკალათბურთო ჩემპიონატზე ნახევარფინალური შეხვედრები გაიმართება: ესპანეთი — ავსტრალია (12 საათზე) და არგენტინა — საფრანგეთი (16 საათზე).**

კი მაგრამ, სად არიან სერბეთი, ლიტვა, იტალია, რუსეთი და, განსაკუთრებით — მარადიული ფავორიტი აშშ-ის ნაკრები? — იკითხავთ, ალბათ.

მოდით, ბოლოდან. დავიწყოთ. კალათბურთის სამშობლოს წარმომადგენლებს ტიტულის დაცვა რომ გაუჭირდებოდათ, ფორუმის სტარტამდეც სავარაუდო იყო, რადგან ცისქვეშეთში გამგზავრებაზე სხვადასხვა მიზეზით თქვეს უარი კარიმ, ჰარდენმა, დევისმა, „მეფე“ ლებრონ ჯეიმსმა და სხვა მეგავარსკვლავებმა, მაგრამ უმედლოდ დარჩენას ძნელად თუ იწინასწარმეტყველებდა ვინმე. დაუმატეთ ამას ტეიტუმის მიერ მუნდიალის დასაწყისშივე მიღებული ტრავმა და მიხვდებით, რამაც განაპირობა ამერიკე:ლთა ფიასკო.

საპირისპირო შეგვიძლია ვთქვათ თითქმის უძლიერესი შემადგენლობით მოთამაშე სერბებზე, მაგრამ იოკიჩს, მილუტინოვს, რადულიცას, ბიელიცასა და კამპანიას სწორედ ის „ერთადერთი“ — ზედ ტურნირის წინ დაშავებული თეოდოშიჩი დააკლდა, ვისაც შეუდარებლად ეხერხება მრისხანე პარტნიორთა იერიშების დალაგება და გაძლოლა.

შვედის, მოზგოვისა და ხვოსტოვის არყოფნით გამოწვეულმა საკადრო პრობლემებმა დაალალატა რუსეთი, ხოლო დანარჩენებმა, მართალია, საუკეთესოებს მოუყარეს თავი, მაგრამ წმინდა საკალათბურთო და ფსიქოლოგიური ფაქტორების გამო ელიტაში მოსახვედრად გაჩაღებულ ბრძოლას უკვე გამოეთიშნენ.

რაც შეეხება რჩეულთა კვარტეტს, მასზე უმჯობესია ფინიშის შემდეგ ვისაუბროთ.

**ვიტალი ჯაფარიძე**

ფეხბურთი

# მესამეც მოინათლა

**უეფას მესამე ევროთასს კონფერენციათა ლიგა ერქმევა — წერს გერმანული Bild. წყაროს ცნობით, ახალი ევროთასის გათამაშება, შესაძლოა, 2021-22 წლების სეზონიდან დაიწყოს.**

კონფერენციათა ლიგა სტატუსით მესამე ევროტურნირი იქნება ჩემპიონთა და ევროპა ლიგების შემდეგ. ფორმატიც მსგავსი ექნება — 32 გუნდი 8 ჯგუფად დაიყოფა. პირველადგილოსნები მერვედფინალში გავლენ, მეორეადგილოსნები კი ევროპა ლიგის მესამეადგილოსნებს შეერკინებიან და ამ გზით მოხვდებიან პლეი-ოფში.

კონფერენციათა ლიგის გამარჯვებული მომავალ სეზონში ევროპა ლიგის გათამაშებაში მიიღებს მონაწილეობას.

ეროვნულ ჩემპიონატებში რომელ ადგილებზე გასულები მოხვდებიან ახალ ტურნირში, ჯერჯერობით უცნობია, თუმცა, ქართული კლუბებისთვის, ჩანს, კიდევ ერთი შანსი იქნება რომელიმე ტურნირის ჯგუფურ ეტაპზე მოსახვედრად.

**გიორგი შოთაძე**




64

# თბილისი იყო მათი მეგზური

**შამილ დასნიმ (1941-1996) უამრავ თბილისელ პატარას ასწავლა და შეაყვარა ჭადრაკის თამაში. მან მრავალი თანრიგოსანი მოსწავლე აღზარდა. საკმარისია აღინიშნოს, რომ წარმატებული დიდოსტატები სოფიკო ხუხაშვილი და სერგო მოვსესიანი მისი დამოძღვრილები არიან.**



**ჰენრიხ ზისერმანი**
**„შახმატნი ჟურნალ“**
**1893 წ.**



1. მფd6 მფf4 2. კe4 მფe4
3. ეf2 მფd4 4. ეf4

**შენიშვნა:** ორი კუს შეწირვის შემდეგ მეფე საშამათო ქსელში ეხვევა: „რასაცა გასცემ, შენია“...

**შ. დასნი**
**სანიმუშო ამოცანა**
**წიგნიდან**



1. კh2! g3 2. მფf5 gh 3. g4X

**შენიშვნა:** ამოცანა ადვილად დასამახსოვრებელია. იგი იძულებით სვლებზეა შექმნილი (ცუგცვანგი) და უბრალოებაშია მისი ხიბლი და სილამაზე.

იეზიდმა საჭადრაკო კომპოზიტორმა გამოსცა მეტად მიმზიდველი წიგნი „ჭადრაკის სიბრძნის სამყაროში“. მინიატურული ფორმის ამოცანებში მან თითოეულ მათგანს შესატყვისი ქართული ანდაზა დაურთო. საქართველოზე უზომოდ შეყვარებულმა ეს წიგნი ქართული ენის მასწავლებლებს მიუძღვნა.

თბილისმა დააკვალიანა აგრეთვე ეროვნებით გერმანელი **ჰენრიხ ზისერმანი,** რომელიც მშობლებთან და დედმამიშვილებთან ერთად საქართველოს დედაქალაქში1899 წელს დასახლდა.

ჰენრიხი დაიბადა 1830 წელს კამენეც-პოდოლსკში. მისი ძირითადი ამოცანები ორსვლიანი და სამსვლიანია, რომლებიც დღესაც ინარჩუნებენ განსაკუთრებულ ხიბლს.

მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა კომპოზიციების შედგენაში, ბატონმა დავით გურგენიძემ თვალსაჩინო ადგილი მიუჩინა დღეს წარმოდგენილი ამოცანების ავტორებს ფუნდამენტურ ნაშრომში „ჭადრაკი ქართველი ხალხის ცხოვრებაში“ (II ნაწილი).

**მოამზადა**
**თამაზ შენგელია**

# ცეროდენა მოთხრობები

## თითები

**საიდანღაც ჩამოსული მოხეტიალე მუსიკოსები „სცენაზე“ გასასვლელად ემზადებოდნენ. სცენა კი მიწისქვეშა გასასვლელი იყო.**



ხუთნი იყვნენ — პირველი და მეორე ვიოლინო, ალტი, ვიოლონჩელო და კლარნეტი, მოკლედ, თითქმის მთელი ორკესტრი. ჩემი ყურადღება კლარნეტმა მიიქცია, ასე დავუძახებ კაცს, რომელიც კლარნეტზე უკრავდა. სანამ პირველი და მეორე ვიოლინო, ალტი და ვიოლონჩელო ჩამოსხდებოდნენ, კაცი ნერვიულად ამოწმებდა კლარნეტის ჟღერადობას.

დაიწყეს. გაისმა პირველი აკორდი და სიმების ხმა თითქოს მკაცრად, სიმეტრიულ ლოგიკურ ნახატში აირია. ვიოლინოებს მელოდია დაბლა მიჰყავდათ, ალტი და ვიოლონჩელო კი მაღლა-მაღლა „ექაჩებოდნენ“. თავიანთ თავში მთლიანად ჩანთქმულნი, ვიოლინოებს უგულებელყოფდნენ.

მოულოდნელად კლარნეტი ჩაერთო. მისი მარტოსული მელოდია ისე გასრიალდა დიდებულ სიმებში, თითქოს დანარჩენებმა ხელი სტაცეს და ერთად აიჭრნენ ცაში. უკვე არ იგრძნობოდა ერთიმეორის იგნორირება, მაგრამ მაინც მთავარი კლარნეტი იყო და ის კაცი, ვინც კლარნეტზე უკრავდა.

ხელებით შეიძლება ადამიანზე იმსჯელო. მოხეტიალე მუსიკოსებს ჭუჭყიანი ხელები ჰქონდათ, დაკოჟრილი და უხეში. კლარნეტისტის თითები კი ზედმიწევნით მოვლილი იყო. დაკვრა რომ დაამთავრა, კლარნეტს და თითებს ერთნაირად მოეფერა. ჩვენებურებს არ ჰგავდნენ. ეტყობოდათ, დიდი გზა ჰქონდათ გამოვლილი. წვრილი თვალებით უნდობლად იმზირებოდნენ, დაღლილი სახით ასფალტზე ჩამომსხდარნი მუსიკას გვთავაზობდნენ და ყოველდღიურობის რუტინაში რაღაც სიახლე შეჰქონდათ. ამასობაში ქუდი ხურდა ფულებით გაივსო. კლარნეტისტმა ხელთათმანები გაიკეთა, ქუდი აიღო და ხურდა ხელთათმანებიან ხელებზე დაიყარა. გადათვალა, ფული ჩანთაში ჩაიყარა, ქუდი ისევ ასფალტზე დადო და ხელთათმანები გაიძრო. ამას ვითომ უხელთათმანოდ ვერ გააკეთებდა?

კლარნეტისტი თითებს უფრთხილდებოდა, იმ თითებს, რომლითაც კლარნეტზე უკრავდა. მოხეტიალე მტვრიან მუსიკოსს არც დაუვარცხნელი თმა ედარდებოდა, არც გაუპარსავი წვერი, თითებს კი დაჰკანკალებდა, ისე ეპყრობოდა, როგორც დამოუკიდებელ ცოცხალ არსებას.

მეორე დღესაც გამოვიარე იმ ადგილას. არ დამხვდნენ, ან სხვა მიწისქვეშა გასასვლელში გადაბარგდნენ, ან საერთოდ წავიდნენ. სად, ვინ იცის.

## მხატვარი

**ტროტუარზე მხატვრებს თავიანთი ნამუშევრები გამოუფენიათ. ერთ მათგანს ვეძებ. ჯერ არ ჩანს.**

პირველად მისმა ნახატმა მიიპყრო ჩემი ყურადღება. მეორე დღესაც ნახატმა, ოღონდ ახლა სხვა ნახატმა. მესამე დღესაც ნახატმა. ბოლოს კი თვითონ მხატვარმა. რაღაცნაირია, თავისი ნახატებივით უცნაურად გარინდული. ნახატებზე სამი ფერია: ყვითელი, იისფერი და მწვანე. მხოლოდ ერთგან ჰქონდა წითელი ფერი და ისიც — მიწა იყო წითელი.

წითელი მიწა ჯერ არ გამიგონია-მეთქი, — ხმამაღლა გამოვთქვი ჩემი აზრი. ხმამაღლა კი ვთქვი, მაგრამ ვერ გაიგო, იმიტომ რომ გარინდული იყო, იდგა მზეზე სუნთქვაშეკრული და გაქვავებული. სხვა სიტყვა უფრო მოუხდებოდა, მაგრამ ზუსტ სიტყვას, მის სულიერ მდგომარეობას რომ გადმოსცემდეს, ვერ ვიხსენებ. გგონიათ, ფიქრებში იყო? არა. საიდან ვიცი და სახეზე ფიქრის ნასახიც არ ეტყობოდა, რომ დაგეძახა, ვერ გააგონებდი. კარგად უნდა შეგენჯღრია, რომ გამოგეფხიზლებინა. რამდენჯერმე შევნიშნე მისი ასეთი გაოგნება თუ გარინდება.

მერე მის ნახატებს დავაკვირდი და სურათებზეც იგივე ვნახე. ერთ ნახატზე ყვავილი იყო, ჩვეულებრივი კი არა, გარინდული ყვავილი.

მეორე ნახატზე ასევე გარინდული ჩიტი. მესამე ნახატზე ღრუბლები იყო გარინდული. არ მომჩვენებია, ნამდვილად გარინდული ღრუბლები დაეხატა. მე ამას ასე ვხსნი: გარინდებიდან გამოფხიზლებისას ამ განწყობილებას იმახსოვრებს და ხატავს. უცნობია, არავინ იცნობს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, კარგი მხატვარია. კარგი მხატვარი რომ არ იყოს, ასეთ რამეს როგორ მოიფიქრებდა?!



## მავრუშა

**ხომ არსებობენ უმადური ბავშვებიც. ასეთია წლინახევრის მავრუშა. უნაკლო მშობლები ჰყვანან ამ ბავშვს. მთლად უნაკლო როგორ იქნებიან, რა ვიცი. ასე შორიდან ახალ მეზობლებს უშეცდომოდ ვერ შევაფასებ, მაგრამ რასაც ვხედავ და რაც მესმის, გაკვირვებული ვარ.**



მავრუშა დილის ექვსი საათიდან იწყებს ყვირილს. ბავშვურად კი არ ტირის, მთელი ძალით (ან რა ძალა აქვს ასეთი) ბოლო ხმაზე გაჰყვირის. მშობლები თავს ევლებიან, ეფერებიან, „ჰოპლა, ჰოპლა მავრუშას“ ძახილით დერეფნის ერთი ბოლოდან მეორე ბოლოში დაარბენინებენ. ხან ბავშვიანად ეზოში ჩარბიან, იქნებ ეზო უფრო მოეწონოს მავრუშასო, ხან სახლში შეიკეტებიან. არაფერი არ ჭრის. მავრუშას არაფერი მოსწონს. ყვირის და ყვირის.

რა მკითხეთ? ექიმს რატომ არ აჩვენებენ? სრულიად ჯანმრთელი ბავშვი გახლავთ ფიზიკურადაც და გონებრივადაც, — ასეთია ცნობილი თუ ნაკლებად ცნობილი, ჩვენებური თუ უცხოელი პედიატრების დასკვნა. ჭამითაც მშვენივრად ილუკმება. არანაირ საჭმელზე თუ სასმელზე (ვაშლის წვენი უყვარსო განსაკუთრებით) უარს არ ამბობს. ჯერ მიირთმევს, კარგად დანაყრდება და მერე დასცხებს ყვირილს. ძილითაც მშვენივრად სძინავს. გამოიღვიძებს და ისევ აყვირდება.

იცით, რას ვნატრობ? — ნეტა, ეს ბავშვი გამალახვინა!

**მზია გელენავა**

## დაგვიანებული სამადლობელი

# სასიყვარულოდ დაბადებული



**დეიდას დედის სურნელი უდისო — მინერგავდი ბავშვობიდანვე და კობასა და ეკასაგან არ მარჩევდი.**

**განა მარტო მე? — მშობლიური ამაგი უხვად დააბერტყე მთელი საახლობლო-სანათესაოს მომავალ თაობებსა და ლაგოდეხის რაიონის სოფელ ლელიანის საშუალო სკოლის მოსწავლეებს, სადაც კახელთა საამაყო რაჭველი რძალი დედა ენის მადლს ცოდნას მოწყურებულ ნორჩებს აზიარებდი.**

**თუ სიყვარულით არ აკეთე ასეთი საპასუხისმგებლო საქმე, შესაშური რუდუნებითა და კრძალვით პედაგოგს კი არა, საკუთარი ოჯახის წევრს არ მოგიგონებენ.**

**სიყვარული დაბადებიდანვე დაგეკვება, როცა დიდ სამამულო ომში დაკარგული ბიძის რჩეული რუსი ქალბატონის პატივსაცემად სვეტა დაგარქვეს.**

**მოგვიანებითაც, როცა თეატრალური ინსტიტუტის კედლებში მარადიულ სიყვარულს — იური მიქაუტიძეს შეხვდი და უდიდესი მსხვერპლი გაიღეთ მომავალი თანაცხოვრების უღრუბლობის მიზნით — უმაღლესი განათლების მიღება მაშინდელ „პუშკინში“ გააგრძელეთ.**

**მართალია, პროფესიულ სამსახიობო დაოსტატებაზე უარი თქვი, მაგრამ მოწოდებას ბოლომდე ვერ უღალატე და აღიარებულ რეფორმატორ, რეჟისორ გიგა ჯაფარიძის მიერ ონის სახალხო თეატრის სცენაზე დადგმულ საეტაპო სპექტაკლებში, როგორიცაა „ღატაკი მილიონერი“, „მუნჯები ალაპარაკდნენ“, „თოლია“ და მრავალი სხვა, დაუვიწყარი როლები შეასრულე. დუშუაშვილების ხელოვანთა დინასტიის ღირსეულ წარმომადგენელს თვით ნატო ვაჩნაძესაც კი გადარებდნენ.**

**სიბერეგამწარებულ შვილმკვდარ დედას დღეს 75 წელი შეგისრულდებოდა...**

**მადლიერებით,**

**შენი გია**

## რა პრობლემებს აწყდებიან შშმ ქალები ჯანდაცვის სერვისების მიღებისას?

**საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი კვლევას იწყებს იმის შესახებ, რა პრობლემებს აწყდებიან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) ქალები ჯანდაცვის სერვისების მიღებისას.**

საკომიტეტო მოკვლევის ფარგლებში, საკითხის სიღრმისეულად შესწავლის მიზნით, საქართველოს რამდენიმე რეგიონში, მათ შორის მაღალმთიან და ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში, შშმ ქალებთან, ადგილობრივი თვითმმართველობების ორგანოებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან და სამედიცინო დაწესებულებების წარმომადგენლებთან ჩატარდება ინტერვიუები, შეხვედრები და მოსმენები. მოკვლევის შედეგად ანგარიში მომზადდება, რომელშიც პრობლემების ანალიზი და სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურის მიმართ კონკრეტული რეკომენდაციები შევა.

საქართველოს პარლამენტის წევრი და ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე რატი იონათამიშვილი ამბობს, რომ სიცოცხლის ხანგრძლივობა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ქალებში გაცილებით დაბალია ვიდრე შშმ მამაკაცებში. დეპუტატის განმარტებით, ამის მიზეზი სწორედ ჯანდაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობის პრობლემა განაპირობებს.

დეპუტატები დაახლოებით სამთვიანი კვლევის შემდეგ კონკრეტული რეკომენდაციებითა და წინადადებებით, რა უნდა გაკეთდეს და შეიცვალოს პრობლემის აღმოსაფხვრელად, აღმასრულებელ ხელისუფლებას მიმართავენ.




## კრიმინალი



## იტალიაში ბინებს ქურდავდა

**როგორც იტალიური მედია იუწყება, დაკავებულია 42 წლის კ.კ, რომელიც რამდენიმე ბინისა და კერძო სახლის გაქურდვაშია ბრალდებული. ის ქალაქ მესტრეს პოლიციამ დააპატიმრა. ამასთან, პოლიციამ გაავრცელა ვიდეო, რომელშიც დაკავებული ერთ-ერთ ბინაში ქურდობის დროსაა ასახული.**

იტალიური მედიის ცნობით, საქართველოს მოქალაქეს ბინების საკეტების გასატეხად სპეციალური ტექნიკა ჰქონდა შემუშავებული.

# ვულოცავთ!

## დავით ზილფიმიანი იუბილარია

**არიან ადამიანები, რომლებიც თავის ცხოვრებას უძღვნიან საკუთარ თავს, ოჯახს და ახლობლებს. მაგრამ, არიან ისეთებიც, ვისაც ქვეყნის განვითარებაში შეაქვთ სერიოზული წვლილი, დარგის სრულყოფას ახმარენ თავიანთ გამოცდილებას და ენერგიას. ასეთ ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნება დავით ზილფიმიანი.**

**ამ დღეებში მას 60 წელი უსრულდება.**

**თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ მისი შრომითი ბიოგრაფია მოიცავს: მეცნიერებათა აკადემიის გეოფიზიკის ინსტიტუტში საქმიანობას, რუსეთში საკანდიდატო დისერტაციას; ტოკიოსა და რომის უნივერსიტეტებში მოღვაწეობას; იტალიის კოსმოსური სააგენტოს პროექტებში მონაწილეობას; აკადემიკოს ჯუმბერ ლომინაძესთან ერთად საქართველოს კოსმოსური კვლევის ცენტრის დაფუძნებას; საერთაშორისო ორბიტალურ სადგურზე NASA-ს („გოდდარდის“ ფრენის ცენტრში — მერილენდი, აშშ) და ორბიტის სატელიტურ პროექტებზე მუშაობას.**

**დავით ზილფიმიანი კოსმოსური ცენტრის ხელმძღვანელია; საქართველოს ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის ავტორი და ხელმძღვანელი; საქართველოს ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრი, ამავე აკადემიის ვიცე-პრეზიდენტად 2017 წელს აირჩიეს საერთაშორისო ურთიერთობათა მიმართულებით. იგი ასზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორია.**

**ჩინებულ მამას, მეუღლეს, ბაბუას, გულისხმიერ და ყურადღებიან მეგობარს კვლავაც სასახელო საქმეების კეთებას ვუსურვებთ.**

**მრავალჟამიერ, ბატონო დავით!**

**საქართველოს ეროვნული აკადემია**

# მსოფლიოს საუკეთესო უნივერსიტეტები

**ბრიტანულმა ჟურნალმა** Times Higher Education-**მა მსოფლიოს საუკეთესო უნივერსიტეტების რეიტინგი გამოაქვეყნა.**

პირველ ათეულში 7 ამერიკული უნივერსიტეტია, სამი კი ბრიტანული.



**ხუთეული ასეთია:** ოქსფორდის უნივერსიტეტი; კალიფორნიის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი; კემბრიჯის უნივერსიტეტი; სტენფორდის უნივერსიტეტი; მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი.

სწავლების ხარისხი, კვლევითი საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი, ინოვაციებში შეტანილი წვლილი, უნივერსიტეტის გლობალურობის ხარისხი — ეს არის კრიტერიუმი, რომლის მიხედვითაც საუკეთესო უნივერსიტეტებს არჩევენ.

გასულ წელს, რეიტინგში ქართული უნივერსიტეტებიდან ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 1001+პოზიციით განთავსდა. ეს უნივერსიტეტი წელსაც ამავე პოზიციაზეა.

# აფხაზეთი ყველას ტკივილია

## ბალტიის გზის 30 წლისთავი

**9 სექტემბერს სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მთავარ კორპუსში, ესტონეთის, ლატვიის და ლიეტუვის საელჩოების ხელშეწყობით, გაიმართა ბალტიის გზის 30-ე წლისთავის აღსანიშნავი ღონისძიება, რომლის ფარგლებშიც მოეწყო თემატური ფოტოგამოფენა და ესტონური ფილმის „ბალტიის გზის 30 წლისთავი“ ჩვენება.**






ღონისძიებას ესწრებოდნენ ლიეტუვის საგარეო საქმეთა მინისტრი, მისი ალმატებულება ლინას ლინკევიჩუსი და ლატვიის ყოფილი პრეზიდენტი, მისი აღმატებულება ვალდის ზატლერსი, საქართველოში სამივე ბალტიისპირეთის ქვეყნების ელჩები, და იაპონიის ელჩი, ასევე საელჩოების მეგობრები და ადგილობრივი სათვისტომოს წარმომადგენლები.

პარალელურად უნივერსიტეტის სტუდენტებმა პროფესორ-მასწავლებლებთან ერთად მოაწყვეს საპროტესტო აქცია დევიზით „აფხაზეთი ჩვენი ტკივილია“.

**რევაზ თოფურია**

# რომელი ჰოლივუდური ფილმია ყველაზე ძვირად ღირებული?

**ამ კითხვას პასუხს** Hollywood Reporter **სცემს. გამოცემის მიხედვით, 1963 წელს გადაღებული ფილმი „კლეოპატრა“ ჰოლივუდის ისტორიაში ყველაზე ძვირად ღირებულია, რადგან ის 444 მილიონი დაჯდა (ახლანდელი 4365 მილიონის ტოლფასი).**

ასევე, ამ ფილმმა, რომელშიც მსახიობი ელიზაბეტ ტეილორი თამაშობდა, 457.8 მილიონის შემოსავალი მიიღო, რაც ახლანდელ 4480 მილიონს უტოლდება.

„კლეოპატრა“ ისტორიული ჟანრისაა და მას 4 ოსკარიც აქვს მოპოვებული.





# გადაშენების პირას მყოფი მარტორქის ემბრიონები

**კონსერვაციის ჯგუფ** BioRescue-**ს მეცნიერებმა გადაშენების პირას მყოფი ჩრდილოეთის თეთრი მარტორქის 2 ემბრიონი შექმნეს. ამის შესახებ** Daily Mail **წერს.**

გამოცემის ინფორმაციით, ვეტერინარებმა ორი მდედრი მარტორქის 10 კვერცხუჯრედი შეაგროვეს და დაღუპული მამრების გაყინული სპერმით გაანაყოფიერეს.

მალე ემბრიონებს სხვა სახეობის მარტორქას გადაუნერგავენ, რომელიც სუროგატი დედის როლს შეასრულებს.

დედამიწაზე მხოლოდ 2 ჩრდილოეთის თეთრი მარტორქა დარჩა — 30 წლის ნაინი და მისი შვილი ფატუ, რომლებსაც დაორსულება აღარ შეუძლიათ. სახეობის უკანასკნელი მამრი სახელად სუდანი 2018 წელს, კენიაში სიბერისგან გარდაიცვალა.

სპეციალისტების თქმით, პოპულაციის აღდგენას დაახლოებით 70 წელი დასჭირდება.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA

ა. ჩიქობავას (ყოფილი საბჭოს) ქუჩა №42/5
ტელ: 296-72-86

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

**ავტორთა საყურადღებოდ!**

**რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.**

**ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.**

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, რასაც აქ წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!

**უცხოური ვალუტის კურსი:**

აშშ დოლარი - 2.9624; ევრო - 3.2634;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.6624;
100 რუბლი - 4.5293; თურქული ლირა - 0.5131;
აზერბაიჯანული მანათი - 1.7425;
1000 სომხური დრამი - 6.2222.

**ამინდი 13 სექტემბრისთვის**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **აღმოსავლეთი საქართველო:** | | | | |
| ბარი - | ღამე | +9, | დღე | +25 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +4, | დღე | +24 |
| **დასავლეთი საქართველო:** | | | | |
| ბარი - | ღამე | +15, | დღე | +31 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +8, | დღე | +29 |
| თბილისი: | ღამე | +12, | დღე | +24 |

**დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:**
ტელ: 296-72-86,
599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge